

5406/8

ქართული
გინელოგია

ქართული გინელოგია



B. Tsakadze

№ 1



მოსკოლის უნივერსიტეტი — იანვარი



1911

შინაარსი:

I—კოცნა, —სურათი	1
II—ობოლი, — ჯექსი, ნ. ჩხიკვაძისა,	3
III—კურდღელი, —(მონადირის ნახაზები) ვახუა-ფეშტელისა... ..	5
IV—ქრისტეფორეს პირობა, — ნინო ნაკაშიძისა	12
V—მამლის ჩივილი, —(სახალწლო) ჯაფარი გეგეჭკორისა ...	21
VI—ბარათი, —(ანრი ჯაფენდანისა) ვინჯენისა	23
VII—ოთხი წმინდა მეფე, —(გერმანულით) ალ. მიქაბერიძისა ..	33
VIII—დიდების მაძიებელი, —(თარგმანი) ელდ შანშიაშვილისა ..	40
IX—კოტე მესხის იუბილე, — ვ. გ. ასია	46
X—მარიამ დემურისა გარდაცვალების წლის თავი, — აშ. წუ- ჯაძისა	49
XI—დეკანოზი დავით ლამბაშიძე, — ივ. კარბელაშვილისა ...	52
X—სიბრძნე სოლომონისა, —(რუსულით) გადმოკეთებული ზანტისა	54
XI—ზოგი რამ წარსული წლის ცხოვრებისა, — შალვა ტა- ტიშვილისა	58
XII—ირემი და ბაყაყი, — ნოშრევან შერვაშიაძისა	63
XIII—რებუსი და აღსნა	64
XIV—მუსიკალური ნოტები „კარგ მასპინძელს დავესტუმ- რე“ — ზაქარია ფაღიაშვილისა	1
XV—შინაარსი 1910 წლის ჟურნალ „ნაკადულისა“	1

ბრძანებულება



საქართველოს მუზეუმი

მუზეუმი

თბილისი, 1911 წ.



Handwritten numbers '373' in the left margin.



კოცნა.

შინაარსი:

I—კოცნა,—სურათი	1
II—ობოლი,—ლექსი, ნ. ჩხიკვაძის	3
III—კურდღელი,—(მონადირის ნაამბობი) ვაჟა-ფშაველასი	5
IV—ქრისტეფორეს პირობა,—ნინო ნაკაშიძისა	12
V—მამლის ჩივილი,—(სასახლწლო) ლადო გეგეჭკორისა	21
VI—ბარათი,—(ანრი ჯაფენდანიას) ვინზენისა	23
VII—ოთხი წმინდა მეფე,—(გერმანულით) ალ. შიქაბერიძისა	33
VIII—დიდების მიძიებელი,—(დასასრული) ელდო შანშიაშვილისა	40
IX—კოტე მესხის იუბილე,—ვ. გ—სია	46
X—მარიამ დემურის გარდაცვალების წლის თავი,—ან. წყ- ლაძისა	49
XI—დეკანოზი დავით ლამბაშიძე,— ივ. კარბელაშვილისა	52
X—სიბრძნე სოლომონისა,—(რუსულით) გადმოკეთებული ზანტისა	54
XI—ზოგი რამ წარსული წლის ცხოვრებისა,—შაფვა ტა- ტიშვილისა	58
XII—ირემი და ბაყაყი,—ნოშრევან შერვაშიაძისა	63
XIII—რებუსი და აღსნა	64
XIV—მუსიკალური ნოტები „კარგ მასპინძელს დავესტუმ- რე“—ზაქარია ფაღიაშვილისა	1
XV—შინაარსი 1910 წლის ეურნალ „ნაკადულისა“	1



ო გ ო ლ ი.

მოვლით დაბურულ არე-მიდამოს
დილის კისკასმა ვაუკრთო ძილი,
მზემ სხივისტყორცნა პიტალო თხემსა,
ვაჰქრა წყვდიადის საზარი ჩრდილი.

შეკრთა ბუნება... სიცოცხლის სიმი
ნარ-ნარის ხმითა მყის აწკრიალდა,
აკვენსდა ჩანგი... ზე-აღმაფრენამ
ფრთები შეისხა, ცად შესრიალდა.

შორს, სოფლად ასტყდა თოფთა გრიალი,
ხევმა თანგრძნობით გამოსცა ბანი,
ახალმა გრძნობამ გრძნებით იფეთქა,
ძველს წელს გარდაყვა კაცთ კაეშანი.

ღელავს საყდარი ხალხით აღესილი,
ცად იწირება საგალობელი,
ხალხის ჩოჩქოლში გარკვევით ისმის:
„— მომილოცავსო ახალი წელი“

აგერა კიდევ პატარა ვანომ
თავის ძმა-ბიჭებს მიუაღერსა,
თანაც მკვირცხლადა შესძახა იმათ:
„— ძმებო, გილოცავთ ახალსა წელსა“



აგერ, თამრიკო დედისკენ გარბის,
 დღესასწაულის მისალოცადა,
 ირგვლივ ლხენაა... მხოლოდ ჰა, აგერ,
 დგას ვილაც ბავშვი მარტო, ობლადა.

სხეულს უფარავს ძველი სამოსი,
 ძველ ქალამნებში თითები უჩანს,
 ის ობოლია... ახალ ტანთ-საცმელს,
 ან წითელ ვაშლებს ვინ-ღა მოუტანს?

ოჰ, მასაც უნდა სხვებსთან თამაში,
 ეს დღე მისთვისაც მოსალხენია,
 მაგრამ ობოლსა არვინ ულოცავს,
 თვით კი ვერ მიღის... ბედ-შავს სცხვენია...


და მარტო, მარტო სდგას ის საბრალო,
 ჰხედავს არავინ აღარ იბრალებს,
 სხვათ შეუმჩნევლად სცვივა ცრემლები,
 გულ-დათუთქული ჩუმად ვალალებს.

მაგრამ უეცრად პატარა ვანომ
 მას მოჰკრა თვალი... შენიშნა ცრემლი,
 გაჰქანდა მისკენ... მხურვალე გრძნობით
 მკერდზე მიიკრა, მოხვია ხელი.

აღერსით უთხრა: „--მომილოცავსო,
 ჰა, ეგ ვაშლებიც ჩემო ძამია,
 შენც მოილხინე... სახლში წაგიყვან,
 გეტყობა პური არ გიჭამია!..

სახეზე ღიმი გაუკრთა ობოლს,
 მყის აუარდა შვეების კანკალი
 და მოკრძალებით, უხმოდ, უსიტყვოდ,
 პატარა ვანოს გაჰყვა საწყალი.

6. ჩხიკვაძე.





კურდელი.

(მანდირის ნახაზი)

I

ვიყო მზე გორის ფხას მოება, უნდა ჩაბრძანებულიყო, როცა მე სასწრაფო ჩვეულებრივ მხარ-ილივ გადავიკიდე და თოფი ხელში ავიღე. ჩემმა შვილებმა ჟრიაბული ასტეხეს, დიდი სიხარული შეუდგათ, ხტოდნენ და გაიძახოდნენ: „მამა სანადიროდ მიდისო!“

„უნდა კურდელი მოკლას,—ეუბნებოდა ერთი მეორეს: „კურდელი, აი ესეთ ყურებიანი,—მიიღო შუბლზე ორივე

ხელის საჩვენებელი თითები, და შეხტა-შემოტრიალდა: „დილილმე, დილილმე,“ იძახოდა სულ პატარა.

— კურდღელი კი არა, შველი უნდა მოკლას მამამ რქებიანი, აი ესეთი, სთქვა იმაზე უფროსმა და ორივე ხელით რქები გაიკეთა თავზე.

მერე ორივემ მე მომმართა და მკითხავდნენ: რა უნდა მოკლა, მამი?

— რაც შემხვდება, იმას მოვკლავ, — უპასუხებდი მეც ცნობის მოყვარე შვილებს.

— გაჩუმდით, ხმა გაიწყვიტეთ, — უჯავრდებოდა დედა შვილებს: ნუ ჰნავსათ, როდია კარგი, როცა ეგრე აუტყდებით.

პირველი გაზაფხული იყო, ახლად ამწვანებული და აყვავებული დედა-მიწა, ტყეც ახალ ნორჩის ფოთლით იმოსებოდა; დაბლა, ქალის ახლო-მახლო, მწვანე ფერი დასცემდა, ხოლო ზევით და ზევით, მთის პირისაკენ, შავად გამოიყურებოდა. ნოტიო გაზაფხულს ამწვანებინა ლურჯ ლილასავით ჯეჯილები. მეც სწორედ ჯეჯილებს მივმართე, რადგან იქ ხშირად ვნადირობდი და დილა-სალამობით ბევრს კურდღლებს ვხოცავდი. მკვდარი რომ გაგეტარებინათ, გაცოცხლდებოდა, ისეთი ლამაზი, ისეთის სუნნელებით იყო შემკული ის ტყიანი, წვრილ ჯაგიანი სერი, რაზედაც მივდიოდი და რომლის შაყოლიება ხნულებით იყო დაფარული. შაშვები მუხის, წიფლის ბონცვრებზე საამურად ჰსტვენდნენ, ადამიანის გულს შვებითა და სიხარულით ავსებდნენ, მშვენიერს არე-მარეს სამოთხეს ამზავსებდნენ. ჩიტების ჟრიაპული გაქსულ-გამოქსულიყო ქსელივით და მთელს ტყესა სძრავდა, ათრთოლებდა.

მე დანიშნულს ალაგას მივედი და ჩაუსაფრდი. უთვალთვალეზი იქ, საიღამაც უნდა გამოსულიყო კურდღელი, რომ მარჯვე დრო ხელიდან არ გამეშვა. სად წამივა, თანაც ამას ვფიქრობდი; ამ ჯეჯილს ხომ არ ასცდება მეთქი?.. ძალაუნებურად ჩემი გონება და მხედველობა მიიტაცა ჩემს პირ-



დაპირ გადაქიმულმა მთა-გრეხილმა, მაზედ დაბურულმა ტყემ, შიგა და შიგ ამწვანებულმა ველებმა და ფერდობებზე ჩამოწოლილ, ჩამოკიდებულმა ხეებმა. ვთვლიდი გუნებაში, თუ სად რა ნადირი მომეკლა, — რომელ ადგილს, რომელ ხევში, სერზე: შველი, დათვი, ირემი და სხვა ბევრი დამიხოცია.

როგორ მაქებდნენ და როგორ თავი მომწონდა მეც მონადირეობით, თოფის სროლით. დამიხოცია იარაღით აღჭურვილს ადამიანს უიარაღო, ტყისა და ცის ინაბარას დარჩენილი ცხოველები. ოჰ, რა ვაჟაკობაა!

ეხლა ვამბობ ამას, ორმოც წელს შემდეგ, თორემ მაშინ ამისთანა ფიქრი თავშიაც კი არ გამიელვებდა. მაშინ ასე ვფიქრობდი: ნადირი იმის ნადირია, რომ უნდა მონადირემ მოკლას მეთქი. რად? რა უფლების ძალით? ამ კითხვას ჩემი გულის სადღაც ბნელ, მივარდნილ კუნჭულში სძინებოდა.

იმას ვამბობდი, გავცქეროდი ტყეს, მთებს და წარსულის ბედნიერებითა ვსტკებოდი. რამდენჯერ ცხოველურს ჟინს აუთრთოლებივარ, ხელ-ფეხს თახთახი დაუწყია, გულს ძაგა-ძუგი, მაშინ, როცა ნადირს ვეპარებოდი, თოფს უმიზნებდი. ალბად მეშინოდა, ნადირი არ გამქცეოდა, ან ტყვია არ ამეცდინა მისთვის. კატამაც ასე იცის, როცა თავეს უნდა გადაუხტეს, დაეცეს, მთელის ტანითა თრთის. არ გიდევნებიათ განა თვალ-ყური?.. უნდა გენახოსთ, სწორედ მეც კატასა ვგვანდი თოფის სროლის დროს.

II

ღიად, ტყეში ვიჯექი ჩასაფრებული და უცდიდი, კურდღელი როდის გამოაჩენდა ტყიდან ყურებს, რომ ჩემს გულში გახარებულს წამელაპარაკა: ოჰო, ღმერთმა გიშველოსო! — მომეკლა, მიმეტანა შინ და გამეხარებინა ცოლ-შვილი. რა ყოფა შეუღლებოდათ, როგორ გაუხარდებოდათ! ზოგი ყურებზე დაეზიდებოდა, სხვა ულვაშებზე; თან მიუალერსებდნენ: „ჩვენი კურდღელი, ჩვენი კუბზელი, ჩვენი ყურგძელი, საწ-

ყალი... სძინავს .. თვალები-კი ისევ უქყეტი... ჰაა, ხმა, არაფერს იტყვი?“

თოფი თუმც ფეხზე შემოყენებული არა მქონდა, მაგრამ სხვა ფრივ მზად ვიყავ, ნახვა კურდღლისა და სროლა ერთი იქნებოდა. წადილსაც მალე მივალწიე: გამოჩნდა კურდღელი და მერე რა კურდღელი! ხოლო ჯეჯილში კი არ გამოვიდა, იქვე თვალ წინ დამიდგა. ახლა როგორ! საზარელი სანახავი იყო კურდღელი! მხარ-ილლივ ორ-პირად სასწრაფოები ჰქონ-



და გადადებული, მესამე— წელზე შემოერთყა, სამივე სასწრაფო პატრონებით საესე, ხელში ახალთ-ახალი ბერდანკა ეჭირა, ფეხზე შემოყენებული, თავზე გძელ-ბეწვიანი ტყავის ქული ეხურა, თვალთავან ცეცხლს აკვესებდა. თოფის ტუჩი თითქმის მკერდზე მომბაჯინა და მრისხანედ დამქყივლა: „ბატონო მონადირევ, ბატონო მონადირევ! კიდევ მობრძანდით საკურდღლოდ? არ გეყოფა განა, რაც ჩემი ძმა-ბიძაშვილები გაჭელიტე? კიდევ გინდა მოჰკლა? გათამამდი, გაჰხალისდი, რომ ხმას არავინა გცემს, პასუხს არავინა გთხოვს, ჰო? აიყარე იარაღი, გადმოყარე, თორემ ამ საათში გაგათავებ!.. თუ სიკვდილი კარგია, შენც იგემე იმისი გემო! ნუ თუ არ იქნება კარგი მოგკლა და შენი გვაში მიუტანო და დაუგდო წინ კურდღლებს, რათა ამ საცოდავებმაც გაიხარონ მით, რომ მოისპო, აღარ არის, აღიგავა პირისაგან ქვეყანისა, კურდღლების მსვრელი მონადირე.“

მე თავ-ზარ დაცემულმა, ელდა-ნაკრავმა, ავიხსენ ყველა იარაღი, სასწრაფოდან დაწყებული, და გადაუყარე, თანაც ვეზვეწებოდი: „შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ. გეთაყვანე, გენაცვალე, თავს შემოგველე! ღმერთმანი, აღარ ვიზამ“, დაჩოქილი ვემუდარებოდი. ან კი რას ვიზამდი, სიკვდილი



თვალ-წინ მედგა! მთელის ტანითა ვთრთოდი, ვცახცახებოდი...
 -ქირის ოფლს მასხამდა, მაგრამ ეს ჩემი თრთოლვა სულ სხვა
 ჯურისა იყო და არა ჰგავდა იმ ცახცახს, იმ თრთოლვას, რომელსაც განვიცდიდი ნადიროსათვის თოფის სროლის დროს. ხუმრობა ხომ არ არის, კაცს პირ-ღია სიკვდილი დაადგეს თავსა და ელამუნებოდეს ჩასაყლაპავად!.. ოჰ, საზარელი, საშინელი წუთები გამოვიარე!..

კურდღელს შავეცოდე, თოფი მომაშორა რა გულიდან, ხელში დაიბჯინა, ხოლო ზიზღით გადმომხედდა; დღესაც გულში ღრმად მიქდევია ეს განსხვავებული გადმომხედვა; გულის მომკვლელი, გამანადგურებელი... ჰოო, დაიბჯინა თოფი ხელში, მიიღო პირზე საყვირი, ვგონებ გარეულის თხისა უნდა ყოფილიყო, ვერცხლითა და ოქროთი შეზიკული, რომელიც ოქროს შიბით მხარ-ილლივ სასწრაფოსავითა ჰქონდა გადაკიდებული; ჩაჰბერა საყვირს; ისეთი ძლიერი ხმა გაისმა, მთაბარს ზანზარი დააწყებინა... საყვირის ხმაზე დაიწყო ნადირმა ხროვა-ხროვად მოდენა. ჯერ კურდღლები მოვიდნენ, შემომავლეს ალყა, დასკუპებულნი შემომცქეროდნენ; კურდღლებს მოჰყვნენ შვლები. ყველა მოსულთ ჩემი ჯალათი — კურდღელი ამ სიტყვევით მიჰმართავდა: „აი, თქვენი მტერი და მსრველი, დღეს ჩვენს ხელშია, როგორც გეხებოსთ, ისე გაასამართლეთ!“ — ეუბნება ამას კურდღელი მოგროვებულ ნადირთა ხროს, ჩემი იარაღიც უკვე აულია, თოფი და სასწრაფო მხარზე გადუკიდია, ჩემი ხანჯალიც წელზე ჩამოუკანტურებია. წადი და წინააღმდეგობა გაუწიე, რით? როგორ? ძალაუნებურად უნდა დავმორჩილებულიყავ ჩემ ბედს და ჩემის ჯალათის განაჩენს. კურდღელი საყვირს აყვირებდა მაინც და მოდიოდა უთვალავი ნადირი. შვლებს არჩევები მოჰყვნენ, არჩევებს — ირმები, ირმებს — გარეული ღორები, ღორებს — დათვები და სხვ.

კურდღელი — ჩემი მტერი და სულთა-მხუთავი — ეუბნებოდა: „აი, თქვენი მოსისხლე მტერი! იცით, რამდენი თქვე-

ნი ნათესავი გამოასალმა ამან წუთი სოფელს, სისხლით შემთავსება მთა და ველი, დღეს თქვენ ხელთ არი, როგორც გენებოსთ, ისე გაასამართლეთ, იმ რიგად დასაჯეთ“!...

დადგა ჩემი განკითხვის დღე და დაჰქნა ჩემი სხეული: უცქეროდი ხარ-ირმებს, იმათ ბოჯოჯდ რქებს, შუბივით გაღესილს მათ შტოებს; ტახები კბილებს იღესავდნენ, დათვები ყალბზე დგებოდნენ. მაგრამ ჯერ თავ-დასხმას ვერა ჰბედავდნენ: თუ შავეცოდე, ვიყავ-რა მობუზული, დაჩოქილი; სიბრალოლის გრძნობა აღეძრათ გულში, ზოგს თვალებიც კი მოუცრემლიანდა; ნამეტნავად შვლებს და ირმებს, რაკი ასეთს მდგომარეობაში მხედავდნენ. არაეინ ადგილიდან არ იძროდა. გაშტერებულნი შემომჩერებოდნენ. მე ჩემს გულში ვლოცულობდი, ღმერთს ვევედრებოდი: „ღმერთო, დამიხსენი ამ განსაცდელისაგან! ღმერთო, ნუ დააობლებ საწყალს ჩემს



ცოლ-შვილს, რა ეშველებათ უპატრონოდ საცოდავებს! ვის უნდა შეჰყურონ ხელში და თვალ-წარბში!“



ნადირთა გროვიდან მხოლოდ ერთი დიდი დათვი (ტატიანი რი) გამოერჩია და გამოსწია ჩემსკენ ბურტყუნით და წარმოსთქვა: „ამ ტყეებში მარტო ჩემობილი ათი სული მოკვდა მონადირის ხელით; ის სულ შენი საქმე იქნება, სწორედ შენი. გამკრა და გამომკრა სილაქები; მე „არა-არა“-ს ვიძახოდი, ვყვიროდი და ვფიცულობდი; ადამიანებში კი, როცა ნადირობაზე ჩამოვარდებოდა საუბარ, ვტრაბახობდი და ნამდვილად რამდენიც მომეკლა, ერთ იმდენს კიდევაც უმატებდი. დათვს არ ესმოდა ჩემი ფიცი, მცემდა თავის მძლავრ ტოტებით. მე თავს ვარიდებდი, ვცდილობდი ხელიდან დავსხლტომოდი, ვბორტყავდი. ამ ცოდვილობის დროს, ტახტიდან, სადაც თურმე მეძინა და ყველა ეს დამესიზმრა, დაბლა იატაკზე ბრაგვა მოვიღე. თვალები რომ გავახილე, გავიგონე, ჩემი პატარა ბიჭი ღრიალებდა: „დედა, დედა, მამა გადმოვალდა ტახტიდან!“ მე კი... გარშემო ვიხედებოდი, გონზე არ ვიყავ მოსული და რაღაცას ვლულლულულებდი..

ვაჟა-ფშაველა.





ქრისტეფორეს ჰარობა.



ოვლი ნელ-ნელა ბარდნიდა. მთელი სოფელი თეთრად გადაპენტილი იყო და მხიარულად გამოიციქრებოდა. ყველგან მხიარული ძახილი და ლაპარაკი ისმოდა. დიდი და პატარა ფუსფუსებდა და სამზადისში იყო. მთელი სოფელი ახალ წლის მისაგებებლად ემზადებოდა. ემზადებოდა სალომეც: ფაცხა დალაგებული და დაგვილი ჰქონდა. აბრეშუმის „ლანდით“ (შულო), კურკანტელით და ვაშლებით მორთულ-მოკაზმული ჩიჩილაკი მაგიდაზე იდგა, ცეცხლა პირას დაკლული ქათამი იდგა და ცეცხლზე შემოკიდულ ქვაბში წყლის ადუღებას ელოდა; იქვე ცეცხლა პირას ჯორკოზე იჯდა შვიდი-რვა წლის გოგონა, ნიგოზს არჩევდა და ფილში ჰყრიდა. პატარა პერანგის ამარა სიპიტო

კი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, ჩაბლაუქებოდა დედის კალთაში და ხარხარით უკან დასდევდა, თითქოს ეშინოდა, არსად გამეპაროსო. სალომე მივიდა კართან, გაიხედა გარედ და ისევ შემობრუნდა. გოგონამ მაშინვე მიიბრუნა იმისაკენ გაწითლებული სახე და ჰკითხა:

— ქრისტეფორე არ ჩანს, ნენა?

— არა,—მიუგო დედამ დაღონებულის ხმით, მაგრამ, შეხედა თუ არა შვილის სახეს, მაშინვე გაულიმა. არ უნდოდა შეემჩნევინებინა ბავშვისათვის თავის დარდი.

— ვაი თუ ვერ მოასწროს ქალაქში წასვლა და კალანდას ფეხშიშველა დაერჩები...

— მაშინ ჩემ ოჩაფეხებს გათხოვებ,—უთხრა დედამ ალერსით და თავზე ხელი გადაუსვა.

ბავშვს სახე დაუგრძელდა და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— ჯერ კიდევ მოასწრობს, ნუ გეშინია, შვილო და იქნება...

დედამ აკოცა ბავშვს და შესცვალა ლაპარაკის საგანი:

— აბა, ახლა შენ გაიხედე, მოდის თუ არა?

ბავშვი სწრაფად წამოიჭრა და შედგა კარის დირეზე.

— მოდის, მოდის! ცხემლად მოაქვს,—დაიყვირა მან და გაჰქანდა გარედ.

— ოჩაფეხები ჩაგეცვა, შვილო ტასია!—მიამახა დედამ, მაგრამ ბავშვი უკვე შორს იყო და ტიტველა ფეხებით მიფაცფაცებდა ფაფუკ თოვლზე.

სალომე თითონაც გაეშურა კარებისაკენ.

ფაცხაში შემოვიდა რცხილის ტოტებით დატვირთული ქრისტეფორე, თორმეტ-ცამეტი წლის გამხდარი ბავშვი, სალომეს უფროსი ვაჟი და ოჯახის პატრონი.

შემოვიდა თუ არა, შეშა კუთხეში დაჰყარა, გაიბერტყა მკლავი, ყაბალახი გაისწორა და მიუახლოვდა ცეცხლს.

— ოჰ, რა საკალანდო ცეცხლი გვექნება!—შესძახა ტასიამ და ტაში შემოჰკრა.

— დათიე ამოვიდა, ნენა? — შეეკითხა დედას ქრისტეფორე.

— ამოვიდა, მარა...

— მარა ფული?.. — ქრისტეფორეს შიში გამოესახა სახეზე.

— ცოტა მოიტანა, შეილო, ვალის გადასახადი-კი შესრულდა სამი მნათი, — ქრისტეფორეს თითქოს გულზე მოეშვა, მაგრამ სახეზე მაინც მზრუნველობა და დაკვირვება ეწვრა.

— ვერ გავყიდეო, — განაგრძო დედამ, — ჩიჩილაკები უკანვე ამოიტანა. არავინ არ ყიდულობსო.

ტასიამ ყურები ცქვიტა და ატირდა.

— ვაიმე, აბა, დავრჩით კალანდას უწულოდ, უხაქაპუროდ, უკამფეტოთ.

სიპიტო ეხვეოდა დედას და რალაცას ხითხითებდა.

— აჰა, ტასიავ შეილო, შეგრცხვეს: სიპიტო შენზე უნცროსია და არ ტირის, — სთქვა დედამ, — ხომ ხედავ ამას, წულა-კი არა, პერანგიც არა აქვს.

ტასიამ შეხედა ძმის დაგლეჯილ პაწია პერანგს, რომელიც მუცელსაც-კი არ უფარავდა ბავშვს. შემდეგ თავის გრძელ, ქრელ პერანგს და ამოიოხრა.

ამოიოხრა ქრისტეფორემაც და ჩამოჯდა ცეცხლა პირას.

— ნენა, შენ, აბა, ფული ამოიღე და წავალ, თვარა ღამდება.

— ახლავე, ნენავ.

სალომემ გაალო ზანდუკი და, კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ამოიღო ჩვრებში შეხვეული, გახსნა და დაიწყო თვლა.

— ვაიმე, ფარა, ფარა! — შეჰყვირა ტასიამ და თითონაც აიღო ხელში რამდენიმე გროში. — ქრისტეფორე, მე წითელი წულა მიყიდე, ლომინაის ფეფოს რომ უყიდეს, იმისთანა. იმას კაბაც უყიდეს... პურის ფქვილი და ყველი ბევრი, ბევრი მეიტანე, დიდი ხაქაპური გამოვაცხოთ, იმისთანა, როგორსაც ბაბაის სიცოცხლეში ვაცხოვდით. კამფეტები ფოჩვიანი...



— სუ, შვილო, შენი ქირიმე. აგი ფული შევალეს უნდა წაუღოს ქრისტეფორემ, ისეხა, ნენავ... მოიტა აქეთ ეს შავრიანები, გახსოვს, ქრისტეფორეს რომ მისცეს, ვარდენისას ყანაში რომ ეხმარებოდა... ჩვენ კაი მჭადი გამოვაცხოთ კელამიდაზე... ნიგვზიანი მჭადი...

— მჭადი კალანდას!.. არა, ჩემო ნენა, მაგას ნუ იზამ, შენი ქირიმე... ვალი მერე გადავიხადოთ, — ტასია მიუბრუნდა ძმას და მოეხვია: — ხომ, ქრისტეფორე ჩემო, — აბა, კალანდას ჩვენ უწულოდ და უხაკაპუროდ უნდა ვიყოთ?...

ტასია რომ ატირებული დაინახა, სიპიტოც აღრიალდა.

ქრისტეფორემ ქამას თავი დაანება და თითონაც ცრემლები მოადგა თვალებზე, მაგრამ თითქოს მოაგონდა რომ ვაჟკაცს ცრემლი არ შეჰფერისო, თავი გაიქნია და საჩქაროდ ადგა.

სალომე ჩაჩუმებული ცეცხლს ასწორებდა. ერთ წუთს აილო მაღლა თავი და დედაშვილის თვალები ერთმანერთს შეხვდა. ორივენი დაღონებულნი და გაფითრებულნი იყვნენ. ორივეს, თითქოს ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდა თავში, გადავიხადოთ ვალი თუ არაო.

დედამ დაჰხარა ძირს თვალები.

— არ შემიძლია... პატიოსანი სიტყვა მივეცი... შევპირდი...

II

უკვე შებინდა. მაზრის ქალაქი გაჩაღებული იყო და გუგუნნი გაჰქონდა: ყველგან გაცხარებული ვაჭრობა იყო, რასაკვირველია, უფრო სანოვავის დუქნებში. ფართლეულობის დუქნებს კი აქა-იქ კიდევაც კეტავდნენ. ყველას უნდოდა, შინ დროით მისულიყო და თავის ოჯახში მხიარულად გაეცილებინა ძველი წელიწადი და ახალს მიჰგებებოდა.

სამსონ გულაძის ფართლეულობის დუქანსაც ალაგებდნენ ნოქრები და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. სამსონ



შუატანის თხელ-წვერა ქალარა კაცი აქვე იყო, ხელში საათი ეკირა და კარებისაკენ იცქირებოდა. საათი ისევ ჩაიღო ჯიბეში, შემდეგ უბის წიგნი ამოიღო, ცხვირზე სათვალე ჩამოიცივა და ლამპასთან მივიდა.

ნოქრებს ხარხარი აუტყდათ.

სამსონმა როგორღაც შერცხვენით მიიხედა იმათკენ და თავი დახარა.

— არა, როგორ იფიქრე, რომ ყაზილარი ფულს ჩაიდებდა ხელში და ისევ მოგიტანდა, მერე იგიც უცნობი!

— არა, იმფერი სახე ჰქონდა, რომ, თუ მომატყუებდა, არ მეგონა, — სთქვა სამსონმა.

— რა იყო, სამსონ, ვინ მოგატყუა? — შეეკითხა ამ დროს შემოსული კაცი.

— არაფერი, არაფერი, — თავი გააქნია სამსონმა და წიგნი დაკეცა.

— არა, მაინც?

— ამ სამი თვის წინად, ერთი ვიღაც გატიღნილი, ავაზაკი ბიჭი შემოვიდა, — დაიწყო სიცილით ერთმა ნოქარმა, — და უბრძანა — ნოქარმა სამსონისაკენ გადიქნია თავი, — ფული მასესხეო და ვადაც დაუნიშნა, ამა და ამ დღეს მოგიტანო; ჩემთვის ვალის გადახდა რა დიდი საქმეა, ფარა ჩხოსავით მიყრიო; ვადაზე მოგიტანო და ვადა დღეს გათავდა. ვალი-კი...

— კაი, კაცო, — სთქვა სამსონმა, — რა ავაზაკი იყო ბაღანი, — ისე შეწუხებული სახე ჰქონდა, თომა, — მიუბრუნდა სტუმარს, — რომ, თუ მომატყუებდა, არ მეგონა. მითხრა, პატარა ძმაი მყავს ავად, ექიმი უნდა წავიყვანო.

— მერე შენც დაუჯერე? ახლანდელ დროში, ჩემო ძმაო, ფულს რაღა ენდობა კაცი ვინმეს, ქვეყანა მატყუარებითაა სასვე.

— დაუჯერე, დაუჯერე. ახლა თუ არა, აბა, როდის დაუჯერო, კაცო? მე ახლა ვცხოვრობ ქვეყანაზე, და სწორედ იგი მწყინობს, რომ მომატყუოს, მართლა მატყუარა გამოდგეს

და იმედი გამიცრუოს, თორემ ფული სათქმელადაც არ ღირს; რომ ეთქვა, მაჩუქეო, ვაჩუქებდი. დამპირდა, ვადაზე მოგიტანო. იმისთანა პატიოსანი და შეწუხებული სახე ჰქონდა, პატარა გამხდარი ბიჭი იყო... თუმცა ჯერ კიდევ დრო არის და...

— ხა-ხა-ხა! — გაისმა ნოქრების ხარხარი და სტუმარმაც ბანი მისცა. — არა, ახლა მობრბის და მოაქვს ფული! თუ ვალი არ გადაიხადა, სირცხვილი შეაწუხებს, კალანდას ვერ გეიტენებს საცოდავი ბიჭი! — განაგრძობდნენ ხარხარით ნოქრები.

სამსონს სახე უსიამოვნოდ მოედრებოდა და წიგნი როგორღაც უხერხულად, საჩქაროდ ჩაიდნა უბეში.

— დალაგეთ ყველაფერი?

— ყველაფერი. ახლა კარებს დავეტავთ და წავიდეთ.

— მგონია — იქ რაღაც დაგრჩათ დაუკეცავი, დაიცათ, მე დავეცე, — და სამსონმა გასწია კუთხისაკენ.

— ბიჭს უტდის, ბიჭს, — ეშმაკურად ჩაიცინეს და გააყოლეს თვალი ნოქრებმა.

კუთხეში ყველაფერი დაკეცილი და დალაგებული იყო და სამსონი ისევ გამოტრიალდა.

— აბა, გააქრეთ სანთელი, — სთქვა მან და უნებურად გაიწია კარებისაკენ და გაიხედა გარედ.

— თუ მოსასვლელი ყოფილიყო, ამდენხანს მოვიდოდა, სამსონ. ახლა სოფლიდან ბიჭს რაღა ჩამოიყვანს, — უთხრა თომამ.

— ნამდვილად დედო ხაქაპური მოაქვს ძღვნად და იმიტომ დაავიანდა, ხა, ხა, ხა! — იოხუნჯეს ნოქრებმა.

— არა, თომა, რომ ეთქვა, მაჩუქეო... აჰ, აჰ, ბიძია ქე მოხვედი?! გაგზარდა ღვერთმა! — შეჰყვირა გახარებულმა სამსონმა. ნოქრები ჩაჩუმდნენ.

დუქანში შემოვიდა ქრისტეფორე. თავზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული, ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა; თოვლით იყო სრულიად გაგუნგლული. სიარულისაგან გამხდარი სახე შეს-



წითლებოდა, პირიდან ოშხივარი ამოსდიოდა და შავი თვალები უელავდა.



— უკაცრაოდ, ბატონო, დილას უნდა მომერთმია, მარა ცხემლის მოსაქრელად ვიყავით სოფლიდან... ქრისტეფორემ აუჩქარებლად გაიხსნა ჩოხა, მერე ახალოხი. უბიდან კარგა მოზრდილი შეკრული მხვარი ამოიღო და დაუწყო ხსნა. სამსონ გაბრწყინვებული, გამარჯვებული მდუმარედ შესცქეროდა ხან ქრისტეფორე, ხან თომას და ხან ნოქრებს, რომლებიც ჩაჩუმებულნი, შერცხვენილნი და გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ ბავშვს. ქრისტეფორემ ჩვარი გახსნა და და-



გაზე სთვლიდა შავ ფულს. სულ შაურიანები, ორ კაპეიკიანი და სამ კაპეიკიანი ჰქონდა. გადათვალა სამი მანეთი, ჩვარი გაბერტყა, ჩაიდვა ისევ უბეში და შეიკრა ახალოხიც და ჩოხაც და გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი. სადაც იდგა, ფეხებისაგან განადენი წყალი დაგუბდა, დაგლეჯილ ქალამანში წყალს ჭყაბა-ჭყუბი გაუდიოდა.

— აბა, ბატონო, მშვიდობით! თქვენი სიკეთე ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. ჩემი ძმაი სიპიტო თქვენი შემწეობით დავიხსენით სიკვდილისაგან, — სთქვა ქრისტეფორემ და დააპირა გამოსვლა დუქნიდან, რომ სამსონმა მოჰკიდა ხელი მხარში.

— ბიძია, — უთხრა მან, — ვხედავ — პირიანი და პატიოსანი ბიჭი ყოფილხარ; მინდა კიდევ გასესხო ეს ფული. ვადას ნულარ დამინიშნავ; როცა დაგირჩეს, მაშინ მომიტანე. ახლა ამით წულა-მესტები იყიდე შენთვის, თორემ ქალამანი დაგხევია და...


სამსონმა აიღო დაზგიდან ფული და მიაწოდა გაკვირვებულ, შერცხვენილ და ამავე დროს გახარებულ ქრისტეფორეს, რომელსაც არასფრის გულისთვის არ უნდოდა წაღება, მაგრამ ნოქრებიც და თომაც ჩაერივნენ, სამსონიც ისე ტკბილად ელაპარაკებოდა, რომ დააჯერეს — წაეღო.

მეორე დღეს, კალანდას ტასია და სიპიტო წითელ წულებით იყვნენ გამოწყობილნი. სიპიტოს ახალი ქრელი პერანგი ეცვა, რომელიც დედამ ღამე ცეცხლის შუქზე შეუკერა და მხიარულად შეექცეოდნენ ხაჭაპურს. ჯიბეებშიაც „ფოჩვიანი კამფეტები“ ეწყობო. ტასია წამ და უწუმ უცქეროდა და სწმენდა თავის „მშვენიერ“ წულებს კაბის კალთით და ბედნიერი იყო. ქრისტეფორეს, თუმცა ისევ თავის დახეული, ცერებ გამოვარდნილი ქალამნები ეცვა, მაგრამ ისიც ბედნიერად გრძნობდა თავს და მადიანად შეექცეოდა საუკეთესო ნაჭერ ხაჭაპურს, რომელიც დედამ მიაართვა სუფ-

რის თავში. როგორც ოჯახის უფროსს, საპატიო აღამიანს. ქრისტეფორე შესცქეროდა ბავშვების გაშუქებულ თვალებს, დედის უდროვოდ გატეხილ, დაბერებულ, მაგრამ შვილების სიხარულით ნასიამოვნებ სახეს და იმისი გული უსაზღვრო მადლობით იგონებდა სამსონს, როგორც მთელის ოჯახის ბედნიერების მიზეზს. უიქრობდა, როგორც კი ვიშოვნი ფულს, მაშინვე წაუღებ და ვეცდები, მეც სამსონივით გულკეთილი და კარგი აღამიანი ვიყო ცხოვრებაშიო.


ნინო ნაკაშიძე





მამლის ჩივილი.

(სახალწლო)



ქათმის ხორცს რა შეაძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?!
ვაჟა-ფშაველა.

ხალ-წელს დილით მამალი
ხეზე მჯდომარე ყოიდა,
მომტირალ ხმითა კენესოდა,
მოსთქვამდა, სწუხდა, ჩიოდა;
თვალთაგან ლაპა-ღუბითა
ტრემლები გადმოსდიოდა...
დარდსა და ნალველს ამდენსა
ან-კი ვით აუდიოდა!..

**

ახალმა წელმა, — ამბობდა, —
რა მოგვიტანა ესაო:
გუშინ ქათმები დახოცეს,
ისმოდა მათი კენესაო;
შესწვავენ, შეაცხუნებენ,
შეიქმებიან დღესაო; —
ბუნებისაგან ასეა,
თუ ღმერთმა განაწესაო?!
**

წუხებელ ურჯულო მელამა
მოსძებნა ჩვენი ბინაო,
ხეზედაც აღარ გვამყოფა,

თავს რისხვა მოგვივლინაო; —
 წინა ფეხებზე დგებოდა,
 ქოჩორა ჩაიფრინაო,
 კბილები მაგრად ჩაავლო
 და გააქროლა შინაო!

**

ჩვენი მტერია კაცები,
 უარესია მელაო;
 ქათმის ხორცითა მადაზე
 დღეს გამოძლება ყველაო;
 ჩვენ შიმშილი გკვლავს, სიცოცვე,—
 არსაით არის შევლაო,
 სხვებს თუ უნათებს მზის სხივი,
 ჩვენთვის ისევე ბნელაო!

**

ახალი წელი რას გვარგებს,—
 ჩვენთვის ის ისევე ავია;
 ჩვენ საკენკავიც აღარ გვაქვს,
 სხვებმა მიირთვეს ფლავია;
 მათი ქეიფი, ზეიმი
 კარგი რამ სანახავია,
 მაგრამ ზიზღი მათ:—ტაბლაზე
 უღვეთ ქათმისა თავია!

**

მამალი დაბაჯბაჯობდა,
 მოსთქვამდა, სწუხდა, ჩიოდა;
 სევდებს შეეპყრო საბრალო
 და გული მწარედ სტკიოდა.
 თვალთავან ლაპა-ლუპითა
 ცრემლები გადმოსდიოდა,—
 ცას შეპყურებდა ხანდახან
 და ხან მწარედა ყიოდა!

ლადო გეგეჭკორი.



ბ ა რ ა თ ი.

(ანრი ლავენდანიას)



ემ სოფლის სახლამდის ნორმანდიაში ფოსტის დამტარებელს კარგი ოთხი-ხუთი ვერსი აქვს გასავლელი, ისიც თუ მოკლე გზით მოდის და არა შარა გზით, რომელზედაც დაძრწიან „ტომილები“, როგორც თითონ ამბობს ხოლმე. ფოსტის დამტარებელს შორიდან დაინახავენ ხოლმე და ამბობენ: „აი, ისიც მოდის,“ რადგან სოფლად „ის“ მხოლოდ ფოსტის დამტარებელია.

„ის“ შემოდის ეზოში გაწითლებული, მზისაგან დამწვარი, გაოფლიანებული, გამტვერიანებული იმდენად, რომ წამწმებსაცა და უღვაშებსაც ნაცრის ფერი დასცემს; მის გვერდით მორბის მისი პატარა ძაღლი, რომელსაც გარედ გამოვდებულ ენის წვერი ზემოდ აუგრეხია.

ქვის საფეხურებზე აბაკუნებს ფეხებს, რომ ცოტათი მაინც მოიშოროს მტვერი, შემოდის სამზარეულოში, აყუდებს თავის ჯოხს და აუჩქარებლავ იღებს მზისა, ავდრისა და ხნისაგან გაყვითლებულ თავის ჩანთიდგან ბარათებს, გაზეთებს და უწყებებს. მეტად უყვარს, როდესაც ფოსტით გამოგზავნილს პირდაპირ პატრონს აბარებს ხოლმე და ამ დროს დიდის სიღინჯით ასრულებს თავის მოვალეობას.

შემდეგ მიუჯდება მუხის მაგიდას, რომელზედაც მომზადებულია მისთვის მათლაბით წვენი, პური და ღვინო. ძაღლიც მის ფეხთა ზის და შეექცევა, რასაც პატრონი გაიმეტებს მისთვის.



როდესაც დამტარებელი ყელ-მოღერებული სკლის ქიქას, გამოვდივარ მეც და ვიწყებთ მუსაიფს.

— აბა, კუტო, რას შვრება შენი ფეხები? მარჯვედა გაქვს? წვიმა ხომ არ მოვა? აბა, რა მომიტანე დღეს?

კარგად იცის, რომ ჩვეულებრივ ასე არ ვლაპარაკობ, რომ მისდა სასიამოვნოდ ვბაძავ მის ენას და კმაყოფილია. უნდა გამოვტყდე, ყოველთვის ასე ვიცი, როდესაც სოფლის კაცს ვებაასები, უნებლიედ მისებურ სიტყვებს ვხმარობ; თუ, საუბედუროდ, უცხოელთან დამჭირდა ლაპარაკი, ორ-სამ წუთს შემდეგ, ჩემს გამოთქმასაც უცხოური კილო ეძლევა და ეს შედეგია იმ გულწრფელის სურვილისა, რომ უკედ გავაგებინო ჩემი ნათქვამი.

ჩვეულებრივ კუტო პასუხს არ მაძლევს, თვალები უღიმის მხოლოდ და მხრებს იშმუშნის. მაგრამ ამას წინად ალაპარაკდა; არსად არ ეჭმარებოდა, იმ დღის ფოსტა დარიგებული ჰქონდა და ამიტომ ლაპარაკი აღარ შეუშალე.

— რასაკვირველია, ბატონო, ჩემი ფეხები ჯერ დადიან და ივლიან კიდევ, მინამ ჩემ ხელობაზე უარს არ ვიტყვი, და როდესაც ეს მოხდება, სჩანს, კუტოს სიკვდილის დღეც ახლო იქნება. რა თქმა უნდა, ზოგჯერ მიძნელდება საქმე, მაგრამ სამაგიეროდ რამდენ სიამოვნებას ვხედავ! ღმერთმანი, არაფერში არ გავსცვლი ჩემ ხელობას. რომ იცოდეთ, როგორ მიმელიან ყველგან! ყველასთვის თავისიანი ვარ. სადაც უნდა მივიდე. ყვილგან ჩემსას ვგრძნობ თავს, ყველგანაა გაშლილი ჩემთვის სუფრა. ვისმე რომ უთხრა, შენს ლოგინში დამაწვინე მეთქი, უარს არ მეტყვის. გზაში მეგებებიან და ეს სიტყვები— „ჩემთან არ არის ბარათი“?— ღმერთო ჩემო, რამდენჯერ მესმის დღეში! სიზმარშიაც-კი მესმის: „ჩემთან არ არის ბარათი“? ყველა ამ სიტყვებით მეგებება. და არც ყოველთვის არიან კმაყოფილნი. თუ ბარათი არ არის, ან თუ არ მოვიდა ის ბარათები, რომელსაც ელოდნენ— იბუტებიან. ბურჟუები? როდესაც დაკვეთილ ბარათის მიღებაზე ხელის



მოწერა სკირდებათ და ჯერ კიდევ ამდგარნი არ აღნიშნულან ღმერთო ჩემო, — როგორა ჯავრობენ! სამაგიეროდ, როდესაც ქვემოდან შევძახებ ხოლმე, წითელ ბეჭდიანი ბარათია მეთქი, — ფულსა ჰნიშნავს, — რა სიხარულია! ფეხშიშველა მოგორავენ ხოლმე კიბეზე ბურჟუები... ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!

— და არასოდეს არ დაგხსმიან თავს, როდესაც ფული გქონია თანა?

— მაგის შიში არა მაქვს. ქურდებმა იციან, რომ კუტო (დანაა) მქვიან და რომ ეს სახელი სწორედ ჩემზედაა ზედგამოქრილი.

— მაშ, არასოდეს არაფერი არ შეგმთხვევია?

— შემთხვევა? — სთქვა დამტარებელმა და საითკენდაც შორს დაიწყო ცქერა: — ერთი შემთხვევა იყო, მაგრამ, თქვენ რომ გგონიათ, იმისთანა-კი არა.

შიამბეთ.

ერთხანს დაფიქრებული იყო, შემდეგ სთქვა.

— კარგი, მით უმეტეს, რომ მას აქეთ ათმა წელმა გაიარა და არავისთვის არ შიამბნია.

ამ ადგილის მახლობლად სცხოვრობდა ერთი მოხუცებული დედაკაცი, დედი ლეგრი. მისი შვილი ორჯელ გაიყვანეს ჯარში და მეორედ ტონკინში გაგზავნეს უბრალო ჯარის კაცად... იმის მეტი შვილი არა ჰყავდა იმ ადამიანს. დედაკაცმა გამოზარდა, თავის ძუძუს აწოვებდა, ეფერებოდა და ძლიერ უყვარდა. ქმარი დიდის ხნის მკვდარი ჰყავდა და ამ შვილის მეტი არავინ არ გააჩნდა, არც ძმა, არც და, არც მახლობელი და არც მეგობარი. გზის პირას სცხოვრობდა პატარა სახლში; აგროვებდა კიწაწებს, წკნელს, ტომრებიდან დაცვენით ნახშირს, ყველაფერს, რაც გზაზე გდია, რაც ქარს მოაქვს, მრეცხავად დადიოდა, დღიურად მუშაობდა ხან აქ და ხან იქ და საათში ერთ სულ (ორი კაპეკია) იღებდა. ასე ვაი ვაგლახით ატარებდა თავის წუთი-სოფელს. მერი და კიურე ეხმარებოდნენ; მართალია, ცოტაოდნენ. ვერ გეტყვით, სცხოვრობდამეთქი, — უფრო ნელ-ნელა ჰქრებოდა. ერთად ერთი მისი სულის ჩამდგმელი მისი შვილი იყო. სწერდა ხოლმე ბარათებს.

— ხშირად?

— ერთხელ თუ ორჯელ წელიწადში. მერე რა ბედნიერი იყო ხოლმე, წერილი რომ მოუვიდოდა. თითონ-კი არა სწერდა შვილს, რადგან კალმის დაჭერაც არ იცოდა და თავის შვილის ადრესიც ვერ დაეხსომებინა. ან-კი როგორ დაიხსომებდა. ისეთი რაღაც სახელი ერქვა იმ ადგილს, სადაც მისი შვალი იყო, რომ უცბად ვერც-კი გამოითქმის. წაკითხვაც იმდენი იცოდა, რომ ორის საათის განმავლობაში ძლივს წაკითხავდა ხოლმე თავის შვილის ბარათს.

მაგრამ, აი, მიდის და მიდის დრო, მისი შვილი-კი აღარას სწერს. შემომჩვილა. — „ნუ სწუხართ“, — ვეუბნები, — „ახალგაზღობა ადვილად იფიწყებს ყველაფერს“. ის-კი თავს იქნევდა ხოლმე, — „არა, კლოვისი არა ჰგავს სხვებს, ის არ დაიფიწყებს თავის მოხუცებულ დედას“.

ამ დღიდან დაიწყო, ბატონო, მის წამების ჟამი, რომ იტყვიან, და ჩემიც. ყოველთვის მის სახლის წინ უნდა გამევილო, და საბრალო მოხუცი მიდარაჯებდა და შორიდან მიყვიროდა ხოლმე: — „ჩემთან არ არის წერილი“? — „არა, დედი ლეგრი“. და ფეხს აუჩქარებდი და გავრბოდი. მართალი გითხრათ, სიამოვნებით შორს შემოუვლიდი იქაურობას, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, მისი სახლი მინდორში იდგა და, რა მხრი-თაც უნდა შემომევილო, სულ ერთია, დამინახავდა. მიდარა-ჯებდა და მალე შემნიშნა, რომ თავს ვარიდებდი. დაიჯერებთ თუ არა, როდესაც უახლოვდებოდი, გული მიწყალდებოდა და სიცოცხლეს ვიწყევლიდი. „აი, ვამბობდი გულში, ეხლავე დამიწყებს წამებას ეს საბრალო დედა: „ჩემთან არ არის ბარათი?“ და მე ფარისევლურად ვიღიმებოდი. ვსცდილობდი, ერთი და იგივე პასუხი არ მიმეცა ყოველ დღე. ღმერთო, რამდენი პასუხი მოვიგონე! აბა, ყური დამიგდეთ, თუ ვსტყუი. მთელი სია მახსოვს ამ პასუხებზე.“

— მოთმინება უნდა, დედი.

— ხვალ მოგიტანთ ბარათს.

— ქარმა დააგვანა გზაში გემი.

- ბარათზე მელანი დაეღვარა ალბად.
- სხვა ქ-ნი ლეგრი თუ არის კიდევ სადმე და შეცდო-
მით იქ გაჰგზავნეს.
- სიზმარი ვნახე, რომ ბარათი იქით კვირაში მოვა.
- თუ არას ეწერება, მაშ, კარგად ყოფილა!
- ჯარის უფროსთან თუ არის
- ნამდვილად ხელი სტკივა.
- შორს არის და, ვინ იცის, რამ შეუშალა ხელი!
- მოგივათ, მოგივათ ბარათი... მოდის კიდევ .. უეჭ-
ველად... გინდათ, დაგენაძლევებით

ამავე დროს ოფლი მდიოდა, თითქო შუა ივლისში მა-
ლალ სერზე ავრბენილიყავ ერთბაშად.

საწყალი მოხუცი კი ელოდა, იმედოვნებდა, სულ ბარა-
თის ფიქრში იყო, ზოგჯერ მოხუცებული ოხრავდა: „ნამდვი-
ლად საავადმყოფოშია,“ ზოგჯერ კი: „შავ მიწაში სძი-
ნავს.“ — „ოჰ, არა, რას ამბობთ!“ და პატიოსან სიტყვას
ვაძლევდი, რომ ბიჭი ცოცხალია, ვფიცულობდი და ვირწმუ-
ნებოდი, კარგად არის მეთქი. „არ მომკვდარა! გავიგებდით.
ადამიანი არა კვდება ასე უეცრად, უმიზეზოდ“. ათას სისუ-
ლელეს ვროშავდი, რომ გამემხნევებინა საწყალი მოხუცი.
მაგრამ ტყუილად ვიძახდი, რაც ძალი მქონდა: „ხვალ მო-
გიტანთ.“ — მეორე დღეს იგივე იყო: „არ არის ბარათი?“ —
„არა, დედი ლეგრი.“

არ ვიცოდი, რომელ წმინდანს შევედრებოდი. ხან და
ხან უჯავრდებოდი კიდევ საბრალოს. მაშ! წარმოიდგინეთ,
რა უგულოა ზოგჯერ ადამიანი. ორშაბათს ვეუბნებოდი სა-
ხე დაღრეჯილი: „არაფერი არ არის;“ სამშაბათს კი მხიარულ
სახის მიღებას ვსცდილობდი; ერთის სიტყვით, ვსცდილობდი
თავის გართობას, თითქო იმ საცოდავის გართობაც შემეძლო.
აქ გადიოდა კვირა, თვე, გაიარა გაზაფხულმა, ზაფხულმა,
შემოდგომამ და ზამთარმა. და სულ იგივე ისმოდა: „არ არის
ბარათი?“ მეტს აღარ ვჩერდებოდი; მივდიოდი ისე, როგორც

დაღალული ჯარი მიდის ხოლმე, თავ-ჩაქინდრული და მხოლოდ ერთ სიტყვას ვამბობდი: „არა“.

მალე პასუხის გაცემასაც თავი მივანებე, თავს და ვიქნევი ანა და ავიღებდი მაღლა ხელს და უნუგეშოდ გავიქნევი. რა უნდა მეთქვა? „არ არის ბარათი? არ არის ბარათი?“—დიად სამ წელიწადს მესმოდა ყოველ დღე ეს სიტყვები და გულზე ლახვრად მეცემოდა. ამ სამ წელიწადში ოცის წლით მოხუცდა, ასე გვეგონებოდათ, ქკუაზე შეიშალაო. უწინ ხშირად ჰხედავდნენ მინდვრად, სადაც დადიოდა და რაღასაც ბუტბუტებდა, ან პატარა გოგოებს ელაპარაკებოდა, ახლა კი სულ დადუმებულია. მხოლოდ თავისი მუდმივი სიტყვები ახსოვდა ლევრის: „არ არის ბარათი?“ დილით მუდამ ერთსა და იმავე ადგილს ვხედავდი, — სახლის წინ ქვაზე იჯდა და, ხელსახოც თვალეზზე მიფარებული, სტიროდა, და საღამოს რომ ებრუნდებოდი, ვხედავდი უძრავს, თითქო გაქვავებულიაო. აღარ სტიროდა და ჩემს ყურს სწვდებოდა მისი მიმტკნარებული ხმა: „არ არის...“ საშინელ მწუხარებას ვგრძნობდი, მაგრამ განგებ სტვენას ვიწყებდი, რომ მეჩვენებინა, თითქო ვერც კი ვხედავდი.

ერთხელ, როდესაც მერის სამართველოში შევედი, ბატონმა მერმა დამიძახა.—„იცნობთ ახალგაზდა ლევრისი?—„დიად“.—„ქალაღლი მივიღე, მატყობინებენ მის სიკვდილს. საწყალი, გარდაცვლილა... ადგილის სახელი არ მახსოვს.“—„რითი მომკვდარა?“—„არ იწერებიათ, ციებით, ალბად“.—„მით უკეთესი, რომ მომკვდარა ის უკულმართი, ვსთქვი მე; მეტის მეტად გამაწვალა! ახლა მაინც ვეტყვი ნამდვილ პასუხს მისს დედას.“—„გინდათ უთხრათ დედას?“ მეკითხება მერი.—„რასაკვირველია, უპასუხე მე; ვალდებულიცა ვარ. რაკი ნამდვილი ამბავი ვიცი, რასაკვირველია, ვეტყვი“.—„რა კეთილი ხართ,—სთქვა მერმა და ხელი გამომიწოდა,—ახლა არ დაგიმალავთ, რომ სწორედ არა სასიამოვნო მოვალეობა იქისრეთ. მე თითონ ძლიერ შემძიმებოდა შვილის სიკვდილის გამქვავ-

ნება და ჩვენს კიურესა ვსთხოვე ეთქვა, მაგრამ დიდი გამომიცხადა,—ეგ თქვენი მოვალეობაა და არა ჩემიო. როდესაც საწყალი დედაკაცი გაიგებს, რომ ღმერთმა მიიბარა მისი შვილი, მითხრა კიურემ, მივალ, მიუსამძიმრებ და რამდენსამე სანუკეშო სიტყვას ვეტყვი. მაგრამ პირველ ამბის მიტანა ჩემი საქმე არ არისო. მერე, —განაგრძო მერმა. —მესაფლავეს ვსთხოვე, მასწავლებელ ქალს გოტიეს, მეველეს ზაქარიას. ყველანი უარს ამბობდნენ, არ შეგვიძლიან მაგ ამბის მიტანა, ეგ ჩვენს ძალას აღემატებაო... მაგრამ რისთვის გეუბნებით ყველა ამას, როდესაც თანახმა ხართ აცნობოთ ეს ამბავი. მაშ, უთხარით მალე, მშვადობით, კუტო.

დავრჩი თუ არა მარტო—გავშეშდი. კარგი საქმე იკისრე სწორედ, ვეუბნებოდი ჩემს თავს, მაგრამ რას ვიზამდი? ძალიან მინდოდა გავბრუნებულიყავი და მეთქვა მერისთვის, მე არაფერი არ მითქვამს და თანხმობა არაფერზე არ გამომიცხადებია მეთქი. მაგრამ გვიანდა იყო, რაკი ვსთქვი—ვსთქვი.

მეორე დღეს მოვიკრიბე ძალა, გავიმხნევე გული, მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდი მოხუცებულის სახლს, მით უფრო და უფრო მუხლთ მეკეცებოდა. აი, სულ ათი ნაბიჯი-ლა დამრჩა, თუ ხუთი. უძრავად იჯდა თეთრის მანდლით თავწაკრული... როდესაც წინ გაუარე და ვედრების თვალებით შემომხედა და მკითხა: „არ არის ბარათი“?—შიშითა თუ, არ ვიცი, რა მიზეზის გამო, გაბრაზებულმა შევძახე: „არა, არა, არა“, და ვიგრძენ, რომ ამის მეტს ვერც ახლა და ვერც როდისმე ვერაფერს ვერ ვეტყვი. როცა შინ ვიყავ, ან შორს ამ დედაკაცისაგან, ისევ ვიმაგრებდი გულს და ვფიქრობდი გულში, ხვალ უთუოდ ვეტყვი შვილის სიკვდილის ამბავსა მეთქი. მაგრამ არაფერს არ ვეუბნებოდი და ისევ სახვალიოდ გადავსდებდი ხოლმე.

ერთის კვირის შემდეგ, მერმა მკითხა. „აბა, რა ჰქენი უთხარი“?—„უთხარი კიდევ და არც მითქვამს“, უპასუხე, „ესე იგი სანახევროდ... მინდა მოვამხადო, რომ თითონ

მიხვდეს“. „კეთილი, კეთილი, ეგ კარგი აზრია“, და სული ჩამომართვა.

აუტანელი მდგომარეობა იყო, მაგრამ ვგრძნობდი, მართალი რომ მეთქვა, ჩემ წინ ამოხდებოდა სული. მით უმეტეს, რომ უფრო და უფრო დნებოდა.

ცოტა-და დარჩენოდა ბარათის სალოდინოდ. და, აი, ერთხელ, როდესაც დასაძინებლად ვემზადებოდი და თავიდან ვერ მომეშორებინა საბრალო მოხუცი, ერთბაშად გაძირბინა თავში აზრმა: „სწორედ სამწუხარო იქნება, ისე მოკვდეს, რომ თავის შვილისაგან რამდენიმე სტრიქონი არ მიუვიდეს. — „არ არის ბარათი? არ არის?“ — რა იქნება, რომ მივსწერო ბარათი და ჩავაბარო, რომ ცოტათი მაინც გამხნევდეს? ღმერთო ჩემო, როგორ გაუხარდება! მივსწერ! დიად, საბრალო მიიღებს ამბავს თავის შვილისაგან!

ავდექ, ავანთე სანთელი და შეუდექი წერას. სრულებით არ იყო ძნელი ეს საქმე, როგორც იქნება, თქვენა გგონიათ. მართალია, საქირო იყო ცრუობა, ისეთი ცრუობა, რომ არ შეემჩნია, მაგრამ ვიცოდი, რომ რამდენიმე წელიწადი არ მიელო ბარათი შვილისაგან და დავიწყებული უნდა ჰქონოდა მისი ხელი; გარდა ამისა, ისე დასუსტდა და ისე დავრდომილი იყო, რომ სულ ადვილ საქმედ მივიჩნიე მისი მოტყუილება. ოჰ, ბატონო, მთელ ღამეს მოუნდი იმ ბარათს!

უპირველესად უნდა მომეგონა იმ ადგილის სახელი, საიდგანაც ვითომდა გამოგზავნილი იყო ბარათი. დიდხანს ვარჩიე და ბოლოს მოვიგონე; სახელი არ იყო ურიგო: პიტი-კი-კი-ფონგი. ახლა ძნელი გასახსენებელია, რა დავსწერე შემდეგ... ჯერ არ მინდოდა ბევრის წერა; ერთ-ორ სტრიქონს დავსწერ-მეთქი: „ყველაფერი კარგად მიდის; იმედია, შენც კარგად ხარ. შენი საყვარელი შვილი კლოვისი“.

შემდეგ კი, კალმით ხელში, დავიწყე ნაზის სიტყვების წერა. წარმოვდგინე ველურ ქვეყანაში ჯარის კაცი ცხოვრება, წარმოვიდგინე ეს ჯარის კაცი მარტოკა, თოფით ხელში, უღრან ტყეში ყვითელ კანიანთა შორის, რომელთაც



მოკვლა და შექმა დაუპირეს, და ავსწერე ყველა ეს; დაუმატე ონავარ ცხოველებთან ბრძოლისა და მრავალი სხვა ამბავი, აუწერე იქაური მცენარეები და ცხოველები, შემდეგ დავარწმუნე ჩემი თავი, ვითომ მე ვარ შვილი, რომელიც სწერს თავის დედას, და მრავალი, პირდაპირ გულიდან ამოსული ნაზი და ტკბილი სიტყვა დავსწერე. ხამდვილი სისულელეა... როდესაც ვსწერდი ყველა ამას, თვალგზეც კრემლი არ შემეშრობია. ამრიგად, მთელი ოთხი გვერდი გავაქრე. დიად, ოთხი! არ ვიცოდი, როგორ დამებოლოვებინა და ამიტომ დავსწერე. „მშვიდობით, დედიკო, საყვირის ხმა მეძახის!“

მაგრამ ყველას სჯობდა კონვერტი. დიდხანს მქონდა შენახული ხუთი თუ ექვსი უცხოური ფოსტის მარკა და ახლა დავაწებე მოხუც ლეგრის სახელზე დაწერილ ბარათს. ყველანაირი-კი იყო მარკა, — ერთი შვეიცარიული, ერთი ჰოლლანდიური, ერთი პრუსიის მეფისა, ორი სხვა კიდევ, ღმერთმა იცის. რა შორეულ ქვეყნისა. გარეგნად ბარათი მშვენიერი იყო. ფოსტის ბეჭედის მაგიერ, სხვა და სხვა ადგილს მელანი წაუსვი. ფიცს იტყოდა მნახელი, რომ ბარათი — სულ ცოტა — ჩრდილოეთ პოლიუსიდან მოსული უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს სხვა წერილებთან ერთად ჩავდე ჩანთაში. მართალი გითხრათ, სრულებით დამშვიდებული ვერ ვიყავი. ხანდახან სინიდისის ქენჯნას ვგრძნობდი, — სულ მეჩვენებოდა, რომ რაღაც უჯერო საქმე ჩავიდინე, სიყალბე, რომ შეიძლება კატორღაში მიკრან თავი ამისთვის, მერე თავს ვინუგეშებდი, რომ არავის არ შეეძლო ესაყვედურნა, რადგან მინდოდა ერთის წამის ბედნიერება მაინც მიმენიჭებინა საბრალო მოხუცებულისთვის, მინამ უკანასკნელ შორს გზას გაუდგებოდა.

ლეგრის სახლს რომ მიუახლოვდი, მივხვდი, საქმე ცუდად უნდა ყოფილიყო, რადგან მოხუცი არ იყო თავის ჩვეულებრივადგილას. კარი ღია იყო და შევედი. საწყალი ლეგრი ლოგინში იწვა სრულებით გაფითრებული და ღონე-მიხდილი.

მის გვერდით მეორე იმისავით საწყალი ქალი იდგა და ძონძებიანი ბებერი მაწანწალა კაცი. იქვე მინავალიყო, და.



სწრებოდა უბედურებას და მოსახმარებლად დარჩენილ მითხრეს, ძირს ეგდო ღონე და გონება მიხდილი, 'მემოვიტანეთ და ლოგინში ჩავაწვინეთო და ნამდვილად მალე გათავდებო. ლეგრი თვალეზ დახუჭული იწვა, მაგრამ ერთბაშად აახილა თვალეზი; თქმით არა სთქვა რა, მაგრამ მისის სულის სიღრმიდან მომესმა ჩვეულებრივი: „არ არის ბარათი“? იმ წამსვე დაუქნიე თავი და დაუყვირე: „არის, დედი ლეგრი, არის! აი!“ და გაუწოდე ბარათი.

ერთბაშად გაიმართა წელში, წამოჯდა, მომეხვია და სიხარულით სული ვერ მოეთქვა. ბარათის გახსნა უნდოდა, მაგრამ აღარც ამისი ძალა ჰქონდა. ვახსენი ბარათი და დაიწყო კითხვა ნელა, თავისთვის; თითქო წვეთ-წვეთად სვამდა ცნობას. თვალს ვადევნებდი და, როდესაც ვხედავდი, რომ რომელიმე ღრმა სიტყვის გარჩევა უძნელდებოდა, ჩუმად უჩუჩუჩებდი: მცენარეებისა და ცხოველების სახელებს... მაგრამ განგებ დიდის ასოებით მქონდა დაწერილი წერილი, ისე, როგორც ჯარის კაცები სწერენ და თითქმის მთელი ბარათი წაიკითხა თითონ. მერე რა კმაყოფილი იყო, თითქო სამოთხეშიაო. და სტიროდა. მეც ვიტირე ცოტაოდენი და მეზობელმა ქალმაც. მაწანწალაც, რომელმაც არა იცოდა რა და მიმხვდარი იყო მხოლოდ, რომ ბარათი ვილაც ახლოებელ და საყვარელ კაცისაგან უნდა ყოფილიყო, მოლბა.


ხან და ხან საწყალი მოხუცი სწყვეტდა კითხვას და ჰკოცნიდა ქალალს და ამ დროს ისეთ მწუხარებას ვგრძნობდი, რომ უნებურად ვამბობდი:—არა, არა, ეგ არ ვარგა, მაგრამ რაც უფრო უშლიდი, მით უფრო ჰკოცნიდა საწყალი ქალალის ფურცელს. კოცნას მაშინ დაანება მხოლოდ თავი, როდესაც სრულებით მოიქანცა და მაშინ მიიკრა ბარათი გულზე და სთქვა: „მინდა, რომ ეს ბარათი თან ჩამაყოლონ საფლავში.“ მეზობელმა ქალმა უპასუხა: „ავისრულებთ სურვილს.“

შემდეგ საწყალი გაიმართა წელში, თითქო კუბოში ჩასაწოლად მოემზადა, და მიიძინა თავის შვილთან წასასვლელად...


მაგრამ, დაიჯერებთ, ამას იქით არასოდეს აღარ ვიკისრებ აღარაფერს ამის მსგავსს!

ვინზენ.





ლოთხი წიგნლა გეფა.



გერ რამდენიმე კვირაა, რაც ფრან-
ცელი ცხოვრების მძიმე უღელში
ჩაება. ფრანცელის მამას სევასტის
ეძახდნენ, დედას კი—„საბრალო
სევასტის“ მეუღლეს. სევასტი მეტად
ღარიბი კაცი იყო. შეშას სჭრი-

და დღიურად და ეს იყო მისი ერთად ერთი ხელობა, რომელიც
ძლიერ მცირედ აჯილდოვებდა მის შრომას. მთელს სოფელში
სევასტი იშვიათის პატიოსნების კაცად იყო მიჩნეული. დილი-
დან საღამომდის სევასტი განუწყვეტლივ შრომობდა, რომ
ამნაირად ცოლ-შვილი სიმშვიდით არ ამოსწყვეტოდა.

საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, რომ იტყვიან, სწო-
რედ საბრალო სევასტიზედ გამართლდა. ერთხელ საბრალოს,
როცა შეშასა სჭრიდა, დიდის ხის მორი დაეცა და სიცოცხ-
ლეს გამოასალმა.

ღაობლებულს ოჯახს ცხოვრება უფრო დაუმძიმდა. სე-
ვასტის ქვრივის სუფრაზედ, გარდა მოხარულ კართოფილისა,
კაცი ვერას იპოვნიდა. საბრალო დედისათვის ცხოვრება აუ-
ტანელ ტვირთად გადაიქცა, ფრანცელი კი ჯერჯერობით ასე
რიგად არა გრძნობდა ამ აუტანელ ცხოვრების სიმძიმეს.
ფრანცელი მუდამ კარში დაკჭრილებდა, თამაშობდა. თან
ყოველთვის ისეთი მადა ჰქონდა, რომ კარტოფილი ნუგბარ
საქმლად ეჩვენებოდა.



დიალ, ფრანცელი ნამდვილი ბატონი იყო, რომელსაც არა აწუხებდა-რა. გაზაფხულზედ, როცა კარგი დარი იდგა, მთელი ქუჩები და მახლობელი ადგილები ფეხ ქვეშ ჰქონდა ამოდებული. ხშირი ტყე, საცა ჩიტები ასე ტკბილად ჰიკვიკებდნენ, თვალუწვდენელი მინდვრები, რომელიც დაფენილი იყო ყვავილების ხალებით, მწუხარე ტირიფის ხეებით გარს შემორტყული მოჩუხჩუხე ნაკადულები სიამოვნებით იპატიუებდნენ ჩვენს ჯერ კიდევ უღარდელსა და ცქრიალა ფრანცელს.

ზამთრობით, როცა მთელი სოფელი დიდის თოვლით დაიფარებოდა, როცა ტრიალი მინდვრები და მარხილით საცურაო ფერდობ-სერები კოპწიად მოიერთვებოდა, ფრანცელი მთელის დღის განმავლობაში განუწყვეტლავ ციგით სრიალებდა და მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

სამ მეფეთა დღესასწაული ახლოვდებოდა. ფრანცელს დღითი დღე აღელვება ეტყობოდა. ფრანცელის აღელვების მიზეზი სულ სხვა იყო და არა მისის ოჯახის სიღარიბე და აუტანელი ცხოვრება. ფრანცელს ამ ჟამად მხოლოდ ის ენიაზებოდა, თუ რა საჩუქარს მოუტანდა საყვარელი იესო ქრისტე საშობაოდ მაგრამ ეს მწვავე საკითხიც სულ მალე საკეთილად გამოირკვა. ფრანცელმა საშობაოდ საჩუქრად მიიღო მშვენიერი მატყლის ქუდი, ექვსი გვერდ-წითელი ვაშლი, ოცი კაკალი და მშვენიერი თბილი ხელთათმანები. ესეთი სადღესასწაულო საჩუქარი ხუმრობა ხომ არ იყო!

ახლა ფრანცელს სხვა ახალი დარდები გაუჩნდა, რომელიც წინანდელს დარდებზედ უფრო მწვავედ გულს უწვრილებდა და საგონებელში აგდებდა.

ფრანცელი გულ-ჩათუთქული ხმა ამოუღებლივ ბუხართან იჯდა და თავის დარდებისა და ვარამის შესახებ ფიქრობდა

უეცრივ სახე გაუბრწყინდა, მარღად წამოხტა ზეზედ და გახარებულმა ისე შეჰყვირა, რომ იქვე მახლობლად მჯდომი დედა ძალზედ შეაკრთო.

— დედა, დედა!—სიხარულით წამოიძახა ფრანცელმა:—
 მე ხომ დიდი ვარ ახლა და არ შემოდლია ერთ ერთ წმინდა
 მეფედ გავხდე?

— რატომ არა!—მიუგო სიყვარულის კილოთი დედამ,
 რომელიც ამ დროს თავის სოსტ ხელებით წინდასა ქსოვდა.
 ან კი როგორ ეტყოდა დედა უარს თავის შვილს, როცა
 „სამ წმინდა მეფეთა“ მილოცვა ესეთს დიდს სიხარულსა და
 სიამოვნებას მიანიჭებდა მის საყვარელ ფრანცელს!

დედას თვალთ წინ წარმოუდგა მთელი ის სურათი, თუ
 როგორ შემოივლიდა მისი პატარა ფრანცელი ერთ-ერთ „სამ
 წმინდა მეფეთა“ ტანთსაცმელით მთელს სოფელს და დღე-
 სასწაულის ჩვეულებრივ მილოცვით დედის გულს გაახარებდა
 და მრავალ სანუკარსა და ტკბილ საკმელსაც მოუტანდა.

— დიდის სიამოვნებით! დიდის სიამოვნებით!—სიყვარუ-
 ლით თანხმობა გამოუტხადა დედამ, —მხოლოდ ხვალ უნდა მოს-
 ძებნო ორი სხვა ამხანაგი და მისალოცი სამეფო საგალობელიც
 შეისწავლო და კარგად გაიხეპირო!

ყმაწვილს თვალეები გაუბრწყინდა და მა'ძინვე შეუდგა მი-
 სალოც საგალობლის შესწავლას; ისეთი გულმოდგინებით
 და სასოებით სწავლობდა, თითქო რაღაც საიდუმლო წმინდა
 ლოცვას სწავლობსო.

მთელი ღამე ფრანცელს თვალზედ ძილი არ მიჰკარებია,
 განუწყვეტლივ იპეორებდა მისალოციელ სამეფო საგალობელს.
 თვალ წინ უკვე ეხატებოდა თავისი სამეფო ტანთსაცმელი,
 ნათლად ხედავდა თავის თავს მრავალ საჩუქრებით დატვირ-
 თულს. ფრანცელს თვალ წინ ეხატებოდა ის მხიარული წამი,
 როცა, მილოცვის შემდეგ, თავის საყვარელ დედასთან და-
 ბრუნდებოდა.

სამწუხაროდ, ყველა ეს ოცნება დილით თითქო სა-
 დღაც გაჰქრა!... ფრანცელის სასოწარკვეთილებას საზღვა-
 რი არა ჰქონდა! საბრალო გაუთენებლივ გაემგზავრა ამხანა-
 გების საძებნელად და მხოლოდ საღამოთი დაბრუნდა თვალ-
 ცრემლიანი.

— შეილო, რა გატირებს? — ჰკითხა დედამ.

ფრანცელმა ვერ მოითმინა და ისე მწუხარედ მორთო კვითინი, თითქო ყველა იმედი გადაუწყდაო.

— დედა, არავის არ უნდა გამომყვეს! ყველანი მეუბნებიან, დაფლეთილი, დაგლეჯილი ტანთსაცმელი გაქვს და შენთან წამოსვლა სირცხვილი არისო! გარდა ამისა, ყველას თავთავისი ამხანაგი მოუნახავს, ყველანი სამსამად დაწყობილან და ისე მიემგზავრებიან მისალოცავად!.. კრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა საბრალო ფრანცელს და უნუგეშოდ დედას თვალეში შესცქეროდა.

დედამ გულში მაგრად ჩაიკრა თავისი საყვარელი შვილი და სიყვარულის კილოთი დახმარება აღუთქვა.

მართლაც, მეორე დღეს დედამ მეტად სასიხარულო ამბავი მოუტანა თავის საყვარელს ფრანცელს.

— ჩვენი მეზობელი ღურგალი, — სიხარულით უამბობდა დედა, — ნებას აძლევს თავის პატარა ორ შვილს შენთან ერთად წამოვიდნენ მისალოცავად და ამასთანავე თანხმანი არიან, რომ შეფე ბალთაზარად შენ იყო!

ფრანცელის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. კეთილი ღურგალი რომ გამოცხადებოდა ახლა ფრანცელს, თუნდაც ეშმაკის სახით, ნიშნად მადლობისა, ხატად და ჯვრად დაისახავდა და აღტაცებით გადაჰკოცნიდა.

სამი დღე გავიდა. ღმერთო ჩემო! რამდენი მწუხარება, რამდენი მოლოდინი, რამდენი გულის ხეთქა და ვაება გამოსცადა ფრანცელმა ამ ხნის განმავლობაში! მერე რამდენი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი კიდევ! გრძელი სამეფო საგალობელი ზეპირად უნდა ესწავლა, სამეფო ტანთსაცმელი უნდა შეეკერა და თავის ტანზედ უნდა გამოეწყოა!

ყველაფერი უკვე მზად იყო. უკანასკნელმა ლამემაც მშვიდობიანად ჩაიარა. გათენდა. ცივი და ნისლიანი დილა იყო. ფრანცელმა საჩქაროდ ისაუზმა და გახარებული დედის წინ გამოიქიმა, რომ სამეფო ტანთსაცმელში გამოწყობილიყო.

უპირველეს ყოვლისა, დედამ ფრანცელს თბილის ტანსაცმელი ჩააცვა, რადგან ბავშვს მთელის დღის განმავლობაში სიცივესა და ყინვაში უნდა ევლო. თბილის ტანსაცმელზედ ფრანცელს დედამ ჩააცვა სამეფო მოსაბურავი, რომელიც დანარჩენს ტანსაცმელს ერთიანად ჰფარავდა.

ეს მოსაბურავი დედამ გამოსჭრა ფრანცელის საბრალო მამის პერანგიდან. მართლაც, მშვენიერი და ლამაზი რამ მოსაბურავი გამოდა! დამდნარ და დახეულ პერანგის ადგილები დედამ ხელოვნურად დააკერა ფერადის ქაღალდის ვარსკვლავებით, წელზედ შემოართყა ფერადი წელსაკრავი, რომელზედაც ჩამოჰკიდა ფულის შესაკრები პატარა ქისა და ერბოსათვის პატარა ყელმოგრძო ქოთანის. ლამაზი და მოხდენილი პირის სახე ფრანცელმა მთლად გაიმურა, ასე რომ მისი შეხედვა უიშსაცკი ჰგვრიდა კაცს. თავზედ მედიდურად დაიხურა მატყლის ქუდი, რომელზედაც მიკერებული იყო ოქროს გვირგვინი. მარცხენა ხელში დაიჭირა კალათი კვერცხებისათვის, ზურგზედ წამოიკიდა პარკი მსხლისა, ვაშლისა და კაკლისათვის. ამ რიგად სრულიად გამოწყობილი იყო გასამგზავრებლად ჩვენი წმინდა მეფე ბალტაზარი!..

ფრანცელი თავმომწონედ გამოვიდა სახლიდან, თითქო მართლა ვინმე დიდებული მეფეაო, და თავის ამხანაგებისაკენ გახარებული გაუდგა გზას. მაგრამ ეს უსაზღვრო სიხარული ფრანცელს მალე მწუხარებად შეეცვალა, როცა იგი დურგლის სახლში მივიდა და გაიგო, რომ მისი ამხანაგები კიდევაც წასულიყვნენ.

ფრანცელი გაქვავებული იდგა ერთს ადგილას და უაზროდ ლულულულებდა: „წავიდნენ! მერე უჩემოდ! მერე საით? რა გზით?“

— აი, იმ მახლობელ სოფლისაკენ გაემართნენ! — ცივად უპასუხეს ფრანცელს.

ფრანცელი გაუდგა გზას. სანამ სოფელ-სოფელ მიდიოდა, სიარული არ უმძიმდებოდა, მაგრამ, ვაჟიდა თუ არა გაშლილს მინდორზედ, რომელიც ღრმად დაფარული იყო თოვ-



ლით, ძლიერ მალე იგრძნო დაღლილობა. საბრალოდ შეფერს პირისახიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, სიმწარისაგან თვალთაგან მდუღარებას აბნევდა.

დიდის გაქირვების შემდეგ ფრანცელმა შორეულ ასკილის ბუჩქის მახლობლად შეამჩნია ოქროს ვარსკვლავი, რომელიც ხელთ ეპყრა მეფე მელქიორს. ფრანცელმა ფეხს აუჩქარა და მართლაც, როგორც კი მიუახლოვდა ასკილის ბუჩქს, იქვე დაინახა სამი მეფე. ორი მათგანი იყვნენ დურგლის პატარა შვილები, ხოლო მესამე—მეწაღის ათი წლის ვაჟი მიხაილესი, რომელიც გამოწყობილი იყო მეფე ბალტაზარის ტანთსაცმელში. ფრანცელს პირველ დანახვისათანავე ისე მოეჩვენა, თითქო იგინი თვალს არიდებდნენ, კიდევაც თითქო სადღაც გაქცევსაც ეპირებოდნენ. მაგრამ ეს აზრი უარ ჰყვეს. ფრანცელი მიუახლოვდა, წმინდა მეფეები მოსდგნენ საბრალოს და, რაც კი მოეხერხებოდათ, უშვერის სიტყვებით ლანძღეს საცოდავი ფრანცელი, რად დაიგვიანე და ამდენი ხანი რად გვაცდევინეო. მაგრამ ეს ლანძღვა და გინება ან საყვედური რა მოსატანი იყო, როცა ფრანცელი დანიშნულს დროზედ ერთის საათით უფრო ადრე მივიდა დურგლისას.

ფრანცელი ისე განაცვიფრა ბავშვების უსაფუძვლო ლანძღვა-გინებამ, რომ კრინჭის დაძვრაც ვერ მოახერხა. ამხანაგებმა ეს კარგად შენიშნეს და უმაღვე გამოიცვალეს ლაპარაკის კილო და კიდევაც ნება მისცეს ფრანცელს მათთან ერთად წასულიყო.

— ძლიერ კარგი, მაგრამ მე რომ წამოვიდე, მიხალესი ხომ უნდა დაბრუნდეს სახლში?—მოკრძალებით შეეკითხა ფრანცელი ამხანაგებს. მიხალესი რომ სახლში დაბრუნებულიყო, ამაზედ არც ერთი არ სთანხმებოდა.


დიდის ბკობისა და განსჯის შემდეგ, შეთანხმდნენ, რომ ოთხმა წმინდა მეფემ ერთად იაროს ღღესასწაულის მისალოცავად, არა უშავს-რაო.


— კეთილი, კეთილი!—სთქვა მიხალესმა, მე თანხმა ვარ ოთხივემ ერთად ვიაროთ, მხოლოდ ერთის პირობით: ვინც უმცროსია, იმან ატაროს უფროსების ბარგი-ბარხანა.

— კარგი, რა გაეწყობა! — მწუხარედ ამოიკენესა ცელმა და წამოიკიდა ზურგზედ ამხანაგების კალათები და ქილები. ყველანი გზას გაუდგნენ. საბრალო ფრანცელი მეტის ტვირთისაგან ოფლში იწურებოდა და ფეხები უკან რჩებოდა. ამხანაგები კარგად ამჩნევდნენ, რომ ფრანცელს მეტად უმძიმდებოდა ამ ვეებერთელა თოვლში ტვირთის ზიდვა, მაგრამ ყურსაც-კი არ იბერტყავდნენ, პირიქით, სიცილითა და ხარხარით თოვლის გუნდებს უშენდნენ ზურგში და აჩქარებდნენ.

ა. მიქაბერიძე

(დასასრული იქნება)





დიღუის მაქიუხალი.

VIII



ოგორც იყო, მიაღწია მტრის სატახტო ქალაქს. მოაგონდა ის ბრწყინვალე დრო, როდესაც აქ ძღვევა-მოსილი შვეიდა, და ახლა-კი მიდიოდა მათხოვარი, კონკებში გახვეული. მივიდა თუ არა ხალიფას სასახლესთან, ითხოვა, ნება მიეცათ ხალიფას ნახვისა, რათა გადაეცა მისთვის თავისი თხოვნა. მაგრამ დარაჯებმა დაითხოვეს.

მაინც არ მოშორდა სასახლის ეზოს და ელოდდა ხალიფასათვის როგორმე თვალი მოეკრა, როცა სასაიროდ გამოვიდოდა. ამ ცდას მოანდომა მთელი სამი დღე. მზე სწვავდა, ქარ-ბუქი სახეს უხოკავდა და თვალებს მტვრით უვსებდა, მაგრამ მაინც არ მოშორებია სასახლის ეზოს. ათასში ერთხელ დაანებებდა თავს იქაურობას, რათა მახლობელ ოჯახებში მოწყალება მოეთხოვა და ისინიც ცარიელ წყლითა და ნახორხლმანხარით უმასპინძლდებოდნენ.

მეოთხე დღეს შეიტყო დარაჯისაგან, რომ იმ დღეს ხალიფა ემზადებოდა სანადიროდ. გაიღო ალაყაფის კარი და გამოჩნდნენ ცხენებზე მსდომნი მხლებელნი. თვითონ ხალიფა იჯდა თეთრს მშვენიერს ცხენზე მიმინოთი ხელში. როდესაც ალაყაფის კარს მოუახლოვდა, იქ მდგომი ხალხი დაემხო ძირს და მოწიწებით თაყვანი სცა. ჯაფარმაც დაჩოქილმა მისცა სალამი და აღელვებულმა სთხოვა:

*) იხილე „ნაკადულის“ მე-12 № 1910 წლისა.

— მომისმინე, მოწყალეო ხალიფავ!— მაგრამ ხალიფას მათხოვრებისათვის არ ეცალა. შეუჩერებლივ გაუარა გვერდზე მაშინ იქვე სადარაჯოდ მდგომმა მეომარმა უთხრა ჯაფარს:

— მოიცადე, როდესაც დაბრუნდეს ნადირობიდან, მაშინ ჰკითხე. თუ გამარჯვებული დაბრუნდა, ხალიფა მოწყალე იქნება, და თუ არა—ნურას ელი მისგან.

იღვა ერთ ადგილს ჯაფარი და უცდიდა. რა წამს დაინახა შორიდან მომავალი მონადირეები, წამოდგა წინ და დაუწყო ლოდინი ხალიფას მოახლოვებას. როდესაც ხალიფას ცხენი გაუსწორდა, დაეცა მუხლებზე და ხმა მალლა სთხოვა, მოისმინე ჩემი სათხოვარიო.

ხალიფამ შეაჩერა ცხენი და იკითხა:

— რა უნდა ამ მათხოვარს?

— დიდებულო მძღველო!— წარმოსთქვა ჯაფარმა,— იყოს წყალობა ალლაჰისა შენზე! ისმინე თხოვნა უძლურის მონისა, რომლის სიცოცხლე შენს ხელშია.

— ვინა ხარ?— ჰკითხა ხალიფამა.

— მე ვარ შენგან აოხრებულ მოსული ქალაქიდან. საპრობილეში სტანჯავ ნურედინს, მაჰმედ-ალის შვილს; მოიფიქრე ხალიფავ: რად გინდა? ის ისეთი ნაზია და მშვიდი! შეიბრალე უსინათლო მამა და განათავისუფლე ნურედინი!

— როგორა ჰბედავ, რომ მაწუხებ ასეთის სისულელით?— უკმაყოფილო ხმით შეაჩერა ხალიფამ ჯაფარი. — ტყვეებს უსასყიდლოდ არ ანთავისუფლებენ. დეე, მოხუკმა გამოგზავნოს ელჩი უფრო ღირსეული, ძვირფას სასყიდელით, და მხოლოდ მაშინ შევიწყნარებ მის თხოვნას.

და წარბების შექმუხვით ხალიფა უნდა გასდგომოდა გზას, რომ ჯაფარმა უფრო საბრალოდ დაიწყო:

— ხალიფავ, მომისმინე ბოლომდის! მოხუც მაჰმედ-ალის ოჯახი აოხრებულია შენის მეომრებისაგან: არა აბადია-რა შვილის გამოსახსნელად. მე მოველი, რომ ნურედინის დასა-

ხსნელად, სასყიდლის მაგივრად, მისი მეორე შვილი—ჯაფარი—წარმოგიდგინო.

— ჯაფარი!—წამოიძახა ხალიფამ, — ჯაფარი, მამიჩემის მოსისხლე მტერი, ჩვენის სათემოს დამლუჯველი? ოჰ, ნეტა ჩემს ხელთ იყოს,—ვიძლევი სიტყვას, რომ დაუბრკოლებრივ გავცვლიდი რომელსამე ტყვეს იმაში!

— ალლაჰი მყავს მოწამე, რომ ჯაფარი შენი ტყვე იქნება იმ დღიდანვე, რა დღესაც ნურედინი განთავისუფლდება,—უთხრა ჯაფარმა.

— მომეცი წინაღვე, —უთხრა ხალიფამ,—და მაშინ ვიწამებ.

რამდენსამე წამს ყოყმანობდა ჯაფარი, შემდეგ მთლად გასწორდა წელში, თამამად შეხედა ხალიფას და მტკიცე ხმით წარმოსთქვა:

— მე ვარ ჯაფარი!

ხალხს გაცეცების ხმა აღმოხდა გულიდან და უკან დაიხია. ხალიფა დიდხანს გაშტერებული დასცქეროდა დაუძლურებულს მათხოვარს და სცდილობდა ეცნო წინანდელი სახელოვანი მძლეველი თავის მამისა.

„მართალია ეს? ან როგორ შევიტყო სინამდვილე?“—ფიქრობდა ხალიფა და გმირს თვალს აღარ აშორებდა.

— თუ ეს ასეა, მაშ, შენ გამბედავი ყოფილხარ, —უთხრა ბოლოს ხალიფამ.—რა იქნება, რომ გავცე ბძანება—ლურსმებზე*) დაგსვან და შენი ძმაც აღარ განვათავისუფლო?!

და მწარე ღიმილით გადაჰხედა ჯაფარს.

— შენს ხელთა ვარ, დიდებულო მბრძანებელო, —დინჯად უბასუხა ჯაფარმა, —თუმცა მოვსულვარ შენს სამეფოში, არა როგორც მტერი, არამედ ვით უიარაღო მწირი. ვემორჩილები შენს ნებას, რაც გენებოს, ის მომისაჯე, მხოლოდ გაათავი-

*) აღმოსავლეთის ხალხს აქამდის ჩვეულებადა აქვთ, დასასჯელად დამნაშავეს ლურსმებზე სვავენ, რის გამო ადამიანი დიდის ტანჯვით კვდება.

სუფლე ჩემი ძმა! ის უდანაშაულოა, ხელიც არ უხლია ერთ შენის მეომარისათვის. მოიღე მოწყალება და შეიბრაღე! არა, ხალიფაო, ალლაჰი ნებას არ მოგცემს ვერაგულად მომეპყრა და ფეხქვეშ გასთელო ჩემი წმინდა თხოვნა. მე გავეცი ჩემი თავი იმ იმედით, რომ მოწყალებას მოიღებდი და სამართლიანად მოეპყრობოდი ჩემს ძმას. ხალიფა წარბების შერქმით უსმენდა. ჯაფარის გაბედულებამ და სულგრძელებამ გააოცა; დაფიქრდა და, წუთს შემდეგ, აიღო მალლა თავი და წარმოსთქვა:

— კარგი, ვნახოთ ხვალამდის! ახლა კი წაიყვანეთ!— მიუბრუნდა მოსამსახურეებს და შევიდა სასახლის კარებში. ჯაფარი შეიპყრეს და წაიყვანეს საპყრობილეში.

IX

მეორე დღეს, ხალიფას უნდოდა ნამდვილად დარწმუნებულიყო, მართლა მოსული მათხოვარი ძმა იყო ნურედინისა თუ არა, და უბძანა— შეხედრა მათი ერთმანეთის გაუგებრად მოეხდინათ.

ზის ნურედინი საპყრობილეში და დასტირის ცხოვრების უკულმართობას, ადამიანთა გულქვაობას. იმ დღით გულმა რაღაც უგრძნო, მწუხარება ლოდივით შემოაწვა და შავმა ფიქრებმა გაიტაცა... მზე ამოზრწყინდა და ციხის სარკმლიდან სხივები სტყორცა ნურედინს. გამოერკვია, შვება იგრძნო და თავი მალლა აიღო. ამ დროს ციხის კარიც გაიღო და შემოვიდა ჯაფარი.

— ჯაფარ, ჯაფარ, შენც აქა ხარ! მწუხარედ წარმოსთქვა ნურედინმა და მხურვალედ გადაეხვია ძმას.

ჯაფარმა გადასწყვიტა არ ეთქვა ძმისთვის, თუ აქ რამ მოიყვანა. მხოლოდ ეს უთხრა:

— საყვარელო ძმაო, საბრალო მამა და ცოლი შენი ძლიერსწუხან შენთვის.

ხალიფა დარწმუნდა, რომ ჯაფარი მართლს ამბობდა და



გასცა ბძანება ნურედინის განთავისუფლებისა. ჯაფარი კი შეიპყარით და დაამწყვდიეთ ცხრა კლიტულშიო.

ნურედინი გამოვიდა თუ არა საპყრობილიდან, ზეცის მადლობა შესწირა, მხოლოდ ვერ მიმხვდარიყო, ხალიფას გულკეთილობა რისთვის მიეწერნა.

გზაზედ გაიგო ამბავი ძმის დიდსულოვან თავდადებისა და მიჰხვდა, რა ძვირად იყო მოპოებული მისი თავისუფლება. დაბრუნდა უკან, მივიდა საპყრობილის კარებთან და გამოჰკითხა დარაჯებს. ისინიც დაემოწმნენ, რაც გაგიგონია, ნამდვილიაო. ნურედინმა მწუხარებისაგან ქვითინი დაიწყო და განწირული ხელებს იბტვრევდა. მივარდა სატუსალოს ზედამხედველს და შეევედრა ეშუამდგომლა ხალიფასთან, რომ თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. ზედამხედველმა უპასუხა, ხალიფას დამარცხებულ მამის აღთქმა ავალებს შური იძიოს ჯაფარისა, მაგრამ ჯაფარის ვეჟაკობა და სულგრძელება იწვევს თანაგრძნობას ჯაფარისადმი და იგი ჰპირდება არ დასაჯოს, თუ არ ეცდება ტყვეობიდან გაქცევას. ნურედინის მწუხარებამ გული მოუღობო ზედამხედველს და მან ნება დართო ძმასთან უკანასკნელად გამოთხოვებისა. გამოთხოვებისას ნურედინი მწარედ სტიროდა, ჯაფარი კი დამშვიდებული ეუბნებოდა:

— საყვარელო ძმაო, წადი და უთხარი მამას, რომ მან შთამაგონა ეს საქმე. ჩემი სინიდასი მაშინ მოისვენებს, როდესაც შენის დაბრუნებით ინუგეშებს ოჯახი და მოხუცებული მამა. დამერწმუნე, მე ბედნიერი ვარ იმით, რაც მოვიქმდე. ალლაჰმა აკურთხოს შენის დაბრუნების გზა!

მოეხვივნენ ერთმანეთს და განშორდნენ.

X

და, აი, ნურედინი ისევ სამშობლოშია, სადაც დაბრუნების იმედი აღარა ჰქონდა. ღონე-მიხდილმა ძლივს მიაღწია ხალხით სავსე ქალაქის მოედანს და უგრძნობლად დაეცა.

ხალხმა მაშინვე იცნო ნურედინი და ზოგნი სიხარულით ეხმობოდნენ. ქცნენ აქეთ-იქით, რომ ეზოვათ მაჰმედ-ალი და ეხარებინათ შვილის მოსვლა. ამ დროს მოხუცი, ნურედინის ცოლის დახმარებით, ქუჩაში დადიოდა სამათხოვროდ. გაიგო თუ არა, გამოეშურა შვილის მისაგებებლად. რაც ძალა შესწევდა, მოხუცმა ნაბიჯს უმატა, მაგრამ აღფაიშს, რომელაღ თითქმის მირბოდა, მაინც ვერ გაუსწრო. ღრმად საგრძნობი და გულის ამაჩუყებელი იყო მათი შეხვედრა ტყვეობიდან განთავისუფლებულთან.

ჯაფარის საქციელი რომ გაიგო მაჰმედ-ალიმ, აღაპყრო ზეცად თვალნი, ალლაჰს მადლობა შესწირა და წასკდა ცრემლი შეწყალებისა.

— ოჰ, ჩემო შვილო! ოჰ, ჩემო ჯაფარ! როგორა მსურს გულში ჩაგიკრა! მხოლოდ ახლა მიადწიე ნამდვილს დიდებას და უკვდავებას: შენ დაივიწყე შენი თავი და შესწირე სხვის კეთილდღეობას!

დაბრუნდა ჯაფარი ტყვეობიდან, თუ იქავე მოკვდა საპყრობილეში, — ამაზე ხალხის თქმულება სხვა და სხვა აზრს გადმოგვცემს. მაგრამ ამბავი მის გმირობისა ისევ ცხოველია ხალხის ხსოვნაში და საუკუნოდ დარჩება სიყვარულისა და თავდაღების მაგალითად.

ელა შანშიაშვილი.



კოტე მესხი, იუზილე.



არსულის წლის დამღევს, 21 დეკემბერს, ქართველ-მა საზოგადოებამ გადაუხადა ქართულ თეატრის დამსახურებულ და ნიჭიერ მსახიობს—კოტე მესხს ოცდა ათის წლის ნაყოფიერ მოღვაწეობის იუბილე.

ნათქვამია, ეკლესია, სკოლა და თეატრი ეროვნულ ძალ-ღონის და კულტურის დამახასიათებელი არისო.

ქართულმა თეატრმა დიდი სამსახური გაუწია ქართველობას ეროვნულ თვითშემეცნების საქმეში და კოტე მესხი იყო ერთი საუკეთესო მოამაგე და მუშაკი ჩვენის თეატრის საქმეების განვითარებაში.

ქართული სამუდამო სცენის დაარსებიდან (1879 წლიდან) კოტე მესხი ჩადგა ქართულ დასში და დღემდე დაულალავად და თავგამოდებით ეწეოდა სამსახურს, როგორც ნიჭიერი მსახიობი, მხნე რეჟისორი და მრავალ პიესის დამწერი—ავტორი და მთარგმნელი.

კოტე მესხი შედარებით ჯერ ახალგაზდა კაცია, მან წლისა არც კი იქნება, და იმედია კიდევ დიდ ხანს ემსახურება იმ სცენას, რომელსაც შეაღია თავისი სიჭაბუკე და ახალგაზდობა.

კოტე მესხის სასცენო ნიჭი მრავალ მხრივია. იგი ერთ-ნაირის ხელოვნებით ასრულებს, როგორც დრამატიულს, აგრედვე კომიკურ როლებს და ყველა მისგან გაპიროვნებულ როლს ეტყობა, ნიქს გარდა, დიდი ჭკუა, დაკვირვება და ინტელიგენტობა, რაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს სცენაზე.

განსაკუთრებული თვისება კოტე მესხისა, როგორც მსახიობისა, ის არის, რომ ემარჯვება ძლიერი და მტკიცე ხასია-

თების დასურათხატება. კომიკურს როლებში, სადაც საკურორტო
 „სიცილი, ცრემლში ნარევი“, ბადალი არა ჰყავს.



კოტე მესხი

კოტე მესხმა, როგორც მწერალმა, არა ნაკლები სამსახური გაუწია ქართულ სცენას. მისი ისტორიული დრამები „თამარ ბატონიშვილი“, „რუსთაველი“ და „ლანგთემური“

ერთხანად, მეტადრე პირველ დროს, საუკეთესო პიესებზე ითვლებოდა. მრავალი ნათარგმნი პიესაცა აქვს, რომელთა ღირსებას შეადგენს საუცხოვო ქართული ენა.

როგორც რეჟისორი კოტე მესხი მეტად მხნე და გემოვნების პატრონი კაცია. ქუთაისში, სადაც დაარსა სამუდამო დასი, ბარე ათი წელიწადი ხელმძღვანელობდა ქართულ წარმოდგენების მართვას და ამ მხრივ მისი ღვაწლი ქუთაისში სწორედ დაუფასებელია.

თუ რაოდენად საყვარელი და პატივსაცემია კოტე მესხი ქართველობაში, ნათლად დამტკიცდა მის იუბილეს დროს; ტფილისში დიდძალი საზოგადოება და მრავალი დეპუტაციები მოგროვდა იუბილარის პატივსაცემად და მისალოცად.

ამგვარადვე გადაუხადეს იუბილეს ქუთაისში და სხვაგანაც.

ჩვენ ჩვენის მხრივ უსურვებთ კოტე მესხს ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა მისი ნიჭი და უნარი კიდევ დიდხანს სამსახურს უწევდეს ჩვენს ეროვნულ თეატრს.

3• 8•





მარიამ ღმრთიანს გარდასვენების წლის თავი.

21 იანვარს სრული წელიწადი შესრულდა მას შემდეგ,
რაც „დადუმდა ბაგე მართლის შეტყუება,
გულზედ დაეჭდა მშრომელი ხელი!“

ღიად, წელიწადია მას შემდეგ, რაც მოგვაკლდა მოჭირ-
ნახულე და მოამაგე ძვირფასი მარიამი. დავკარგეთ ის, ვისაც

რათი ხატად“ ზვიდან დასცქერის. ჩვეულებრივის ღმობრივებით და საქმის გატაცებულ სიყვარულით, მღუმარედ, მაგრამ ყველას მისახვედრად, გვემუდარება:


— „ნუ მომკლავთ, მაკოცხლეთ, ნუ დააშრობთ ჩემს „ნაკადულს“, ნუ მომიწყურებთ ჩემს პაწია მკითხველებს! დააწაფეთ ანკარა „ნაკადულს“ მოკალით წყურვილი კამკამა წყაროს წყლით, აღზარდეთ ჩემი გვრიტები, ფრთები შეასხით, დააფრინეთ, გამოაწრთეთ სიყმაწვილეში, რომ შეიძლონ მომავალ დუხტირ ცხოვრების მღვრიე ტალღებთან ბრძოლა“.

როცა მის მხნე, მშრომელ, გულწრფელ სახეს უცქერით, თუმცა უმარიამობისობა ყოველთვის და ყოველგან გვეტყობა, თითქოს რაღაც ერთი მთავარი მამოძრავებელი ძარღვი ჩაგეწყდაო, მაგრამ გულს არ ვიტეხთ, ვმხნევდებით, ვიგონებთ ფიცს, დასაფლავების დღეს დადებულს, არ უღალატებთ „ნაკადულსაო“.

და თქვენც, მეგობრებო, მოიგონეთ თქვენთვის მზრუნავი დედა მარიამი, მოიგონეთ და მის ხსოვნას ეცით იმით პატივი, რომ აასრულეთ მისი სურვილი, განაგრძეთ ბეჯითად სწავლა და უმანკო ცხოვრება, დაჭაბუკდით, დავაჟაკდით, აღიჭურვენით სწავლა-ცოდნით და ადამიანურ გრძნობით შეიარაღდით, რათა შეიძლოთ მომავალში საზოგადოების სასარგებლო წევრად ყოფნა, თორემ ხომ იცით:

„არც კანც ვარკა, თუ ცოცხალი მკვდაწსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს-კი არა რა არგოს!“

აპ. წულაძე.



დეკ ნოზი დავით ღამბაშიძე.



არსულ წლის 21 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე დაბა ყვირილაში გარდაიცვალა დეკანოზი დავით ღამბაშიძე, 70 წლის მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ კეთილ სურვილის მქონე და ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოდ თავდადებული.

საზოგადოდ, ჩვენი ქვეყანა ღარიბია ნამდვილ საზოგადო მოღვაწეებით, რომელთაც შექირვება და ნაკლი მთელის ერისა თავისად მიაჩნიათ, საერთო წუხილით სწუხან და გასახარით—ლხინობენ, მაგრამ კერძოდ კი ამგვარი ნაკლი ჩვენს სამღვდელოებს მეტად აჩნევია. წარსულს ჩაჰბარდა მოძღვარი ძველის საქართველოსი, რომელიც ჯვრით ხელში გუშაგად ედგა ხალხის მწუხარებასა და შვებას, მართალ სიტყვას ნერგავდა მორწმუნეთ გულში, იტყოდა ლოცვას, თბილსა და ძლიერს, ხალხის სანუგეშოდ.

სწორედ ამგვარი მოძღვარი იყო ჩვენის ხალხისათვის გარდაცვალებული მამა დავითი. შედგა თუ არაფეხი ცხოვრებაში სავლელად ეკლიანი გზა აიჩრია: მოყვასთა სიყვარული და ხსნა, და აგერ მთელი 40 წელიწადი ფიქრი მოძმის აღზრდისა და ხსნისა თავს დასტრიალებდა. რამდენადაც შამბ-ეკლით არის მოფენილი ამგვარი გზა, იმდენად სასახელო და პატივდებულია ადამიანი, უშიშრად გადამლახავი ურიცხვ დაბრკოლებათა.

სამღვდელოების უსაქმურობა თავიდანვე აწუხებდა მამა დავითს და ამ სასტიკ მტერთან საბრძოლველად 1883 წლიდან აარსებს ორკვირიულს ჟურნალს „მწყემსს“, რომელშიაც მთელი 27 წელიწადი წმინდა ზნეობას უქადაგებდა ხალხს.

ვინც კოტა-ოდნად მაინც გასცნობია ჩვენში, და მეტადრე პროვინციაში, ჟურნალ - გაზეთების გამოცემის საქმეს, — ადვილად გაიგებს, თუ რაოდენ ენერგიითა და საქმის სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანი, რომ ამგვარი თვისი ვალი, მძიმე და აუტანელი, პირნათლად აასრულოს მთელის 27 წლის განმავლობაში.



დეკანოზი დავით დამბაშიძე.

ხალხის ზნეობრივად ამაღლება იყო დიდი წადილი მოხუ-

ცისა. ამ წადილის განხორციელებას შესწირა თვისი ძალა და უნარი, პირადი ზედხედება და სიხარული!


ქართველ სამღვდლოების ისტორიაში მთელს მე-XIX საუკუნეში ეპისკოპოს გაბრიელის მეტი მოღვაწეობითა და მხნეობით განსვენებულ მამა დავითს არეინ აჰმატებია.

აი ასეთი ენერგიის პატრონი და შეუდარებელი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა დაკრძალეს 30 დეკემბერს დ. ყვირილაში თავის ხელითვე გათხრილს სამარეში.

დიდსულოვნებით და სენილდისის დამწუხრებით მიეგება სიკვდილს ყველას წინაშე ვალ-მოხდილი მოხუცი მამა დავითი.

დავიწყებულ არ იქმნას ხსენება მოძღვრისა, საეროვნო საქმისთვის მოჭირახულის მამა დავითისა.

ივ. კარბელაშვილი.



სიბრძნესოლომონისა.

(რუსულით გადმოკეთებული)



სოლომონ მეფემ, ძემან დავითისამან, როცა სამეფო ტახტზე ავიდა, ღმერთს არა სთხოვა არც სიმდიდრე, არც დიდის ხნის სიცოცხლე, არც მტერზე გამარჯვება. სთხოვა მარტო, ღმერთს მისთვის მიეცა სიბრძნე. ღმერთმაც აუსრულა სოლომონს სურვილი. სოლომონმა თავისი სიბრძნე, შორს გამჟვრეტელობა, დაკვირვება, ბევრჯელ გამოიჩინა.

1

ერთხელ ბრძენ მეფეს მსჯავრის მოსასმენად წარუდგა ძვირფას ქვის მთლიელი ოსტატი ახიორი და შესჩვილა მეფეს: ბრძენო მეფეო! მე ვიპოვნე ძვირფასი ქვა, გავთალე, გავამშენიერე და გავატანე ჩემს მეგობარს ზაქარიას ერუსალიმში ჩემის მეუღლის გადასაცემად. რამდენისამე ხნის შემდეგ, მეც დავბრუნდი სახლში; მეუღლემ მითხრა, ძვირფასი ქვა არ მიმიღიაო. ვინახულე ზაქარია; ფიცით აღვიარა, ქვა მოსვლისათანავე გადავეცი შენს მეუღლესაო. დასამტკიცებლად ორი მოწამეც-კი დაასახელა. და, აი, ჩვენ ოთხივე: მე, ზაქარია და ორი მოწამე აქა ვართ და ვითხოვთ თქვენს განაჩენს.

სოლომონმა ოთხივეს ახედ-დახედა და ბრძანა, გაეყვანათ და ცალ-ცალკე ოთახში დაემწყვდიათ. მერმე ბრძანა,

თითველისთვის გადაეცათ მოზელილი სველი თინა და საგან თითვეულს გაეკეთებინა ქვის მსგავსი სახე.

რამდენსამე ხანს შემდეგ, სოლომონს მოართვეს თინისაგან შეკოწიწებული სახე—ერთი ჰგავდა ცხენის თავს, მეორე—ცხვრის თავს, მხოლოდ ახიორისა და ზაქარიას გაკეთებული იყო ადამიანის გულის მსგავსი.

მაშინ ბრძანა მეფეჲ. ახლა ბრმაც-კი მიხვდება, რომ ზაქარიას მოწმენი მოსყიდულნი არიან და ტყუილს ლაპარაკობენ, მათ ძვირფასი ქვა თვალითაც არ უნახავთო. ახიორს ზაქარიამ უკან დაუბრუნოს „პატიოსანი“ ქვა და როგორც თითონ ზაქარიას, ისე ცრუ მოწმეებს ღარიბთა სასარგებლოდ გადახდეს ჯარიმაო.

II

მეორედ მეფეს წარუდგინნ სამნი ძმანი, რომელნიც მემკვიდრეობაზე კინკლაობდნენ. მამას სიცოცხლეშივე დაეტოვებინა შემდეგი ანდერძი:

— „შვილებო! როცა მოვეკვდები, ამა და ამ გორაზე გათხარეთ ესა და ეს ადგილი და იქ ნახავთ დამარხულს ერთ ყუთს. ზემოდ რაც აწყვიდა. ეკუთვნის უფროს ვაჟს, შუაზედ—საშუალს და ძირში რაც არის, უმცროსისაა. რომ არ იჩხუბოთ, ამისათვის სიცოცხლეშივე გაგინაწილეთო!“ როცა ძმებმა ყუთი ამოთხარეს, ნახეს, ზემოდ ეწყო ბლომად ოქროს ფული, შუაზე ცარიელი ძვლები იყო, ძირში-კი ხის ნაქრები ელაგაფული, რასაკვირველია, უფროსმა ძმამ წაიღო, უმცროსი ძმები უკმაყოფილო დარჩნენ და მოსიყვარულე ძმებმა ერთმანეთი შეიძულეს. ბოლოს ყოველივე ეს შესჩივლეს სოლომონს.

მოისმინა სოლომონმა მათი საჩივარი და ძმებს უთხრა:

— მამა თქვენი ჰკვიანი კაცი ყოფილა, თავისი ქონება თქვენ შორის კარგად გაუნაწილებია, მაგრამ ვერ მიმხვდარხართ; რაც ფული ჰქონია, უფროს შვილისათვის უანდერძე-



ბია, შინაური პირუტყვი-საქონელი საშუალოსათვის, სახლ კარი-კი—უმცროსისათვისაო. ძმები ასეთის განაჩენით ძრიელ კმაყოფილნი დარჩნენ, შერიგდნენ და მეგობრულად ერთმანეთს ხელი მისცეს.

III

ერთხელ კიდევ გაარჩია მემკვიდრეობის საქმე მეფემ.

ერთმა კაცმა სიკვდილს წინად ანდერძად დასტოვა, მთელი ჩემი ქონება ჩემ ორ შვილ შორის ღირსეულს დარჩესო.

ორივე შვილს თავის თავი ღირსეულად მიაჩნდა და, რომ ვერ მორიგდნენ, სოლომონს მიმართეს. სოლომონმა ხელობა ჰკითხა. გამოდგა, რომ ორივე მონადირე იყო.

— დაბრუნდით სახლში, მე უბრძანებ — მამა თქვენის ცხედარი ხეზე მიაყუდონ, ესროლეთ ისარი ორივემ პირდაპირ გულში და თქვენს სადაო საქმეს მერმე გადავჭრიო.

მეფემ თავისი კარის კაცი გააყოლა. მიაყუდეს ხეზე ცხედარი, დაუმიზნა უფროსმა ძმამ და შიგ გულში მოარტყა მამის ცხედარს ისარი.

უმცროს ძმას თვალეში ცრემლი მოერიო და მეფის კარის კაცს უთხრა— დეე, ქონება უფროს ძმას დარჩეს, მე მამის ცხედარს ისარს ვერ ვესვრიო.

როცა ყოველივე ეს სოლომონს მოახსენეს, ბრძანა: მამის ღირსეული შვალი უმცროსი ყოფილა, ქონებაც იმას ერგება, მაგრამ რადგან უფროსი ძმა კარგი მსროლელი ყოფილა, ჩემს რაზმში ჩარიცხეთ— ჩემთვის საჭიროა კარგი მოისრე, გულადი და უღმობელი კაციო.

IV

ერთხელ ერთი ქვრივ-ოხერი, ღარიბ-ლატაკი დედაკაცი მივიდა სოლომონთან და შესჩივლა:

— მეფეო, ბრძენო და მწყალობელო, ვითხოვ სამართალს, დღეს უკანასკნელ ორის შაურით (ორი დინარით) ვიყიდე ერთი ქოთანის ფქვილი, წავიღე სახლში, გზაზედ ამოვარდა

ძლიერი ქარი და ფქვილი სულ დამიფანტა—ვინ არის დებული მიზლას ზარალი?

სოლომონმა დაიბარა რამდენიმე მდიდარი ვაჭარი, რომლების გემებიც დღეს უნდა წასულიყო სხვა სახელმწიფოში სავაჭროდ.

— შეევედრეთ დღეს თუ არა ღმერთს, რომ თქვენის გემის სამგზავროდ ამოვარდნილიყო სასურველი ზურგ-ქარი? — უბრძანა შეკრებილ ვაჭრებს.

— დიაღ, მეფეო! — უპასუხეს: — ვილოცეთ, მსხვერპლიც შეეწირეთ და ღმერთმა გვისმინა, ამოვარდა ქარი და ჩვენი გემები დაიძრა.

— თქვენთან ერთად მეც მოხარული ვარ, რომ კარგი ამინდი დაუდგა თქვენს გემებს, მაგრამ თქვენ რომ ღმერთს ქარი სთხოვეთ, იმ ქარმა ამ საწყალ ქვრივ-დედაკაცს ზარალი მიაყენა, ფქვილი გაუბნია — სამართლიანობა მოითხოვს, ზარალი აუნაზღაუროთ.

ვაჭრები სიამოვნებით დასთანხმდნენ და ვერცხლის ფულით ქვრივ დედაკაცს კალთა გაუვსეს. ბრძენმა მეფემაც თავის მხრივ მეფური საჩუქარი — ოქროს ფული დაუმატა და ვაჭირებულ დედაკაცს ცრემლი მოსწმინდა...

ზანტი





გოგნი რამ წარსულის წლის სხოვერებისა,




არსული 1910 წელი დასრულდა! უკვე მიემატა მრავალ საუკუნეთა განვლილ წელიწადებს. მისი შინაარსს მხოლოდ ისტორია დაიხსომებს, ჩვენ-კი ახლა სწამ ჯერ ისევ სცოცხლობს ჩვენ შორის მოგონება წარსულის წლისა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გადავავლოთ თვალი და გავიხსენოთ ის, რაც ამ წელმა მოგვიძღვნა, როგორც ჩვენ, პატარა ერს, ისე მთელს კაცობრიობას!

დავიწყოთ ადამიანის გონების იმ დიად ნაბიჯიდან, რომელმაც ფრთები შეასხა ამ გონებას და რომლის განვითარებაც დიდ-მნიშვნელოვანი იქნება, როგორც კერძოდ თვითოეულ ერისათვის, ისე საერთოდ მთელ კაცობრიობისათვის. ვგულისხმობ ჰაერში ფრენას, ეგრედ წოდებულ ავიციას. წარსულ წელს ჰაერში ფრენამ იმდენად წაიწია წინ, რომ მთელი კაცობრიობა გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მის წარმატებას. დიდი ხანი ებრძოდნენ მეცნიერები ჰაერს, დიდი ხანია სურდათ გაეგოთ ფრენის საიდუმლოება, ის საიდუმლოება, რომელიც დაასრიალებდა ფრინველს ჰაერში და რომლითაც ბუნებამ მხოლოდ ფრინველნი დააჯილდოვა. და, აი, მხოლოდ ახლა, დიდის შრომისა და წვალების შემდეგ, მათმა გონებამ ბოლოს მაინც დასძლია ბუნების ამ საიდუმლოებას და თითქმის სრულებით დაიმორჩილა ჰაერი. პირველი ცდა ჰერის დამორჩილებისა იყო 1872 წელს, როდესაც ფრანგმა

მეცნიერმა კლემან ადერმა გააკეთა ფრინველის მსგავსი მანქანა და ორჯელ აფრინდა ჰაერში; მაგრამ მეორე აფრენის დროს ბედმა უმტყუნა, მანქანა გაუფუჭდა და ჩამოვარდა ძირს მთლად დამსხვრეული. ეს იყო მიზეზი, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაჰკარგა ნდობა ადერისა და ხელს აღარ უწყობდა კლემნის სატრფიალო სურვალის განხორციელებას. მას შემდეგ თითქმის ნახევარ-საუკუნემ განვლო; მეცნიერები იმედს და შრომის უნარს არა ჰკარგავდნენ და, აი, ახლა, ჩვენც შეძლება მოგვეცა დავათასოთ და დავინახოთ მრავალწელთა შრომისა და ენერჯის ნაყოფი.

შარშან აგვისტოში მთელის ქვეყნის ყურადღება მიიპყრო ფრანგულ გაზ. „მატენი“-ს მიერ საფრანგეთში გამართულმა ავიატორთა გაჯიბრებამ. გაჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 11 ავიატორი; უნდა გაფრენილიყვნენ პარიზიდან, გაეარათ ქალაქები: ტრუა, ნანსი, მეზიერი, დუე, ამიენი და ისევ პარიზში დაბრუნებულიყვნენ. ამ რუკაზე არის ნაჩვენები ფრენის გეგმა.

ეს გეგმა გვიჩვენებს, რომ ავიატორებს უნდა ეფრინათ 725 კილომეტრი, ესე იგი ჩვენებურად 680 ვერსი. და ვინც ყველაზე აღრე დაბრუნდებოდა პარიზში, ჯილ-



დოდ მიიღებდა 100,000 ფრანკს, ესე იგი დაახლოვებით 3500 მანეთს. გამარჯვება დარჩა ლებლანს, რომელმაც მთელ ამ მგზავრობას ზედი-ზედ (აქ ჩვენ ვანგარიშობთ მხოლოდ იმ დროს, რომელიც მარტო ფრენას მოანდომა) დასვენების



დროს გამოკლებით, მოანდომა 8 საათი, 52 წუთი და 21 წამი ამ გაჯიბრებამ მთელ განათლებულ ქვეყნების ყურადღება მიიპყრო, მით უმეტეს, რომ ავიატორებს ცუდი დარი დაუდგათ: ქარი, ბურუსი და წვიმა თავისუფალ ფრენას ხელს უშლიდა. ეს ფრენა აგრედვე საყურადღებოა მით, რომ ავიატორებმა პირველად მოიხმარეს ჰაერში გზის საჩვენებელი იარაღი — კომპასი.

ღირს შესანიშნავია აგრედვე ერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში. ინგლისის სამხედრო ღირებულები „ბეტა“, რომელსაც განაგებდა პოლკოვნიკი კაპპერი ლამის 11 ს. და 40 წ. გადაფრინდა ლონდონზე და გაიარა 70 მილი.

ბევრი სხვა ამისთანა გასაკვირველი რამ მოჰხდა საზღვარგარედ. მაგრამ დაწვრილებით იმ ამბის აღწერას აქ არ შეუდგებით.

წარსულ წელს რუსეთშიაც ძალიან წინ წაიწია ჰაერში ფრენამ. დღითი-დღე უფრო და უფრო მრავლდებიან თავგადადებული ავიატორები, რომლებიც არ ზოგავენ თავის ძალას და სიცოცხლესაც კი და სცდილობენ როგორმე დაუმხარდამხარდნენ საზღვარგარეთის განთქმულ ავიატორებს და ამით რუსეთშიაც წინ წასწიონ ჰაერში ფრენის საქმე. ამ თავდადებამ და საქმის სიყვარულმა ბევრი უბედურება შეამთხვია მფრინავთ, როგორც საზღვარგარედ, ისე რუსეთშიაც. წარსულ წელს პეტერბურგში აფრინდა ცნობილი და დახელოვნებული სამხედრო ავიატორი მაციევიჩი, მაგრამ ბედმა ამ ხანად ვერ გაუღიმა, ჩამოვარდა და დაიშხვრა. ამ გვარად რუსეთს მოაკლდა ერთი გამოცდილი, მკოდნე და გაბედული ავიატორი.

ჩვენშიაც იმართებოდა აჰერში ფრენა. შარშან რამდენჯერმე აფრინდნენ რუსი ავიატორები. ერთმა გვარად ვასილევმა, დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა თავის გაბედულ და კოხტა ფრენით. ვასილევი გადმოფრინდა აგრედვე

განჯიდან ტფილისში. ასეთი გამარჯვება საზღვარ-გარეთიდან თვით ბლერიომ დებეშით მოულოცა და მადლობა გადაუხადა.

ამ გვარად, კაცობრიობამ შარშან დიდი ნაბიჯი წარს-
დგა ისეთ საქმის განვითარებაში, რომელსაც დიდი მომავ-
ლი მოელის და რომელიც მთლად შესცვლის საერთაშორი-
სო ცხოვრებას.

*
* *

რუსეთმა, როგორც თქვენც გეცოდინებათ, ჩვენო მკით-
ხველგებო, წარსულს წელს დაჰკარგა თავისი ერთი საუკეთე-
სო შვილთაგანი, თავისი დიდება, რომელსაც იცნობდა მთე-
ლი ქვეყანა და რომლის გონებისა და ნიჭის წინაშეც მუხლს
იღრეკდა ყოველი ერი. ნოემბრის 7-ს გარდაიცვალა ლევ
ტოლსტოი, ეს დიდი მოსიყვარულე და გზის მაჩვენებელი მთე-
ლის კაცობრიობისა, მქადაგებელი თანასწორობისა, ერთობი-
სა და კაცთა შორის სიყვარულის მთესველი გენიოსი. მოკვ-
და ის და ამით 1910 წელი დაუვიწყარი გაჰხადა ყოველ გა-
ნათლებულ ადამიანის ხსოვნაში, რადგან ამ წელს შესწყვი-
ტა აზროვნება ერთმა დიადმა გონებამ, ამ წელს სამუდამოდ
გაცივდა ერთი თბილი და მოსიყვარულე გული.

მოკვდა ლევ ტოლსტოი და თავის სიკვდილით შავი სუ-
დარა გადააფარა მთელ წარსულ 1910 წელს.

*
* *

შარშან 21 იანვარს დავკარგეთ სხვათა შორის ერ-
თი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხ-
ლე შესწირა საზოგადო მუშაობას, რომელმაც თავისი უან-
გარო შრომით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუ-
რა ჩვენის საზოგადოებისა. — დავკარგეთ მარიამ დემურია,
რომელიც თავის დაულალავის შრომით უკანასკნელ ამო-
სუნთქვამდე სიყვარულით ემსახურებოდა თავის დაწყებულ
საქმეს. ნაყოფი ამ შრომისა ახლაც ხელში გიპყრიათ თქვენ,
ჩვენო მკითხველეოებო; ეს არის თქვენი „ნაკადული,“ რო-
მელშიაც მოთავსებული იყო მრავალი იმისი ნაწერები. მა-



რიაში ნამდვილი მეგობარი იყო თქვენი და მუდამ სცდილობდა, ეს ჟურნალი თქვენთვის სასარგებლო და საყვარელი ყოფილიყო.

ამიტომ დააღონა მწარედ მისმა დაკარგვამ ყველა, ვინც კი იცნობდა და ვინც მის ხელში შეილივით იყო აღზრდილი.

*
* *

წარსულმა წელმა მოგვტაცა კიდევ ერთი ჩვენი საუკეთესო, ნიჭიერი და დამსახურებული მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია ცაგარლისა.

მის დაკარგვით ქართულ სცენას მოაკლდა ბურჯი, რომელიც დასაწყისიდანვე დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ თეატრის აღორძინების საქმეს და მუდამ მისი მოამბე და მოჭირნახულე იყო.

*
* *

შარშანდელმა წელმა, თუმცა ბევრი მწუხარება გადაგვატანინა, მაგრამ ბოლოს მაინც სიამოვნება გვაგოძნობინა. დეკემბერში, მადლიერმა ერმა 30 წლის იუბილე გადაუხანდა ქართულ სცენის ნიჭიერს და დამსახურებულ არტისტს კოტე მესხს. დიდი ღღესასწაული გაიმართა ტფილისის სახაზინო თეატრში და საქართველოს სხვა ქალაქებში. იუბილიარს ულოცავდნენ, როგორც ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან, ისე რუსეთიდანაც. კ. მესხი ჯერ ისევ ჯან-ლონით სავსეა და ვიმედოვნებთ, ჯერ კიდევ დიდხანს გაუწევს სამსახურს ჩვენს ღირს სცენას.

ასეთი იყო წარსული წელი და ჩვენც მოკოედ გადმოგვცით იმისი ამბები, რომ უფრო ღრმად და მტკიცედ აღიბეჭდოს თქვენს ხსოვნაში.

შალვა ტატიშვილი.





ირემი და ბაყაყი.

(იგავი)



ონადირესაგან დამფრთხალი ირემი ტყის ქაობში ჩავარდა. ქაობის ბაყაყებს თავხარი დაეცათ, მაგრამ ერთმა სხვებზე მეტი გამბედაობა გამოიჩინა და ირემს შეეკითხა:

— რა დაგემართა, ძმობილო, რამ დაგაფრთხოვ გვრე ძლიერ, რომ ვზა-კვალი ავრევიო?

— ის, რომ ბოროტი მონადირეები მომდევდნენ და ჩემი მოკვლა სწადდათ, — უპასუხა ირემმა.

— მართალს ამბობ, ძმობილო, მართალს, სწორედ რომ ბოროტნი არიან და მათი ბოროტება უფრო იმითი გამოიხატება, რომ ნიშანში უთუოდ ჩვენისთანა თვალ-საჩინო ცხო-



ველებს ამოიღებენ და, საცა ხელი არ მიუწვდებათ, იქ ტყვეობენ და ქვით ქვესკნელშიაც კი ჩაგვყვებიან ხოლმე,—უთხრა ბაყაყმა.


ირემმა გვერდზე გადახედა და ამოოხვრით უპასუხა:

— ნეტავ შენ კი არ დამდარებოდრი და ის მერჩივნა, რომ იქვე მოვეკალ იმ მონადირეებს. **ნოზრევან მერკვილაძე.**

რ ე ბ უ ს ი



რ



ე



ბ



ი

მე-12 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:

ქვაბის მურის მონალესით მომიზადა მელანია.
ხარის ბეჭი დაფად მქონდა მასწავლიდა მელანია.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ბიბლიოთეკა

კარგ მასპინძელს დავესტუმრე

(გურული სიმღერა)

შემუშავებული სპ. ჟღერაძევილის მიერ.

1. კარგ მასპინძელს დავესტუმრე, დელავ ნანინაო
მეგობარო, დავიძახე, " "
2. ერთი მშვენიერი ჩიტი, " "
ვარდის შტოზე დავინახე, " "
3. მომეწონა მისი ფერი " "
და დაჭერა განვიზრახე, " "
4. კარგო ჩიტო, მშვენიერო, " "
რად გიხილე დროებითა? " "
5. ძლიერ შეწუხებული ვარ " "
შენს ფიქრით და გონებითა. " "
6. ვაი მე თუ განმეშორო " "
გიგონებდე ოცნებითა. " "

ტფილისი

ელექტ-მბეჭდ. ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.

1911


კარგ მასპინძელს დავესტუმრე

(გურული სიმღერა) *

შემუშავებული ზაქ. ფალიაშვილის მიერ.

Allegro scherzando M. M. ♩=80.

I და II სმს






Allegro scherzando M. M. ♩=80.

Piano



*) ეს მელოდია აღებულია დ. არაყიშვილის კრებულიდან.





ქართული
საქართველო

დე-ღავ ნა - ნი - ნა - ლ. ერ-თი მშვე - ნი -

ე - რი ჩი - ტი დე-ღავ ნა - ნი - ნა - ლ,

ვარ-დის უტო-ზე და-ვი - ნა - ხე, დე-ღავ ნა - ნი -



Coda

65 - 3.

Coda

rall.

Fine.

ბინააკსი

1910 წლის შუანალ ნაკადულისა.

ლექსები

ვაჟა-ფშაველა

საახალწლო სიმღერა	იხ. № 1
მთაში (შემოდგომის სურათები	„ № 2
„ (დასასრული)	„ № 3
დედა და შვილები (თქმულება)	„ № 6
ღვე ტოლსტოს გარდაცვალებაზედ	„ № 11
საშობაო ამბავი (თქმულება)	„ № 12

შიო მღვიმელი

ახალი წელი	„ № 1
----------------------	-------

დ. თომაშვილი

მარიამის ხსოვნას	„ № 3
----------------------------	-------

დ. თურდოსპირელი

ქრისტე აღსდგა	„ № 4
ბულბული	„ № 7

დ. ელიოზიშვილი

გლეხის სიმღერა	„ № 5
--------------------------	-------

აკაკი მცირე

ლაშარის ხატი (თქმულება)	„ № 5
-----------------------------------	-------

ნ. ჩხიკვაძე

ნაკადული	„ № 6
გოგია	„ № 7

გ. ქუჩიშვილი

ფრინველების სტვენა	„ № 8
სურათი	„ № 12



გ. ტაბიძე	
ლექსი	იხ. № 8
გელა	
სურათი	„ № 9
ბაჩანა	
მომკალი და თავთავი	„ № 10
მიმქრალი	
ბავშვის სიმღერა	„ № 11
მოთხრობანი	
ეკ. გაბაშვილი	
მფრინავი კაცები	„ № 1
ვაჟა-ფშაველა	
სახალწლო სიზმრები	„ № 1
გასამართლებული ჩიბუხი	„ № 4
გაველდა ცხვარი	„ № 5
ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბილო	„ № 7
ბუნების წიაღზე	„ № 12
აპოლონ გურული	
მომღერალი ყუთი	„ № 1
ახალი წელი გურიაში	„ № 2
კორდელი	
სამაგიერო	„ № 2
ივ. გომართელი	
პურის მარცვალის ნაამბობი	„ № 3
ცქვიტი	
ერთხელ დილით	„ № 6
ნ. ლორთქიფანიძე	
პატარა ხე	„ № 6
დ. თურდოსპირელი	
ალაზნის ველზე	„ № 6
უცნობი	
მამიდა ბარბარე	„ № 10

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

ციცო	იხ. № 11
„ (დასასრული).	„ № 12

განდევილი

საოცარი მკურნალი (რუსულით)	„ № 2
„ „ (დასასრული)	„ № 3
საბედას დღესასწაული.	„ № 12

ფ. კარბელაშვილი

ტოროლა (ლეგენდა)	„ № 11
----------------------------	--------

თეო კანდელაკი

დავით ებრაელთა მეფე და სოლომონ ბრძენი (გადმოკეთებული)	„ № 3
სიცრუე (თქმულება ტოლსტოით).	„ № 8
სიყვარული (ძველი თქმულება)	„ № 12

ელ. ანტონოვსკისა

შობის დღესასწაული სხვა და სხვა ხალხში (თარგმანი). „	№ 1
კონცერტი (თარგმანი).	„ № 4
ბედნიერი პრინცი (თარგმანი).	„ № 7

ოლლა ჭრელაშვილი

მიჯაჭული ამირანი (ლეგენდა თარგმანი)	„ № 2
---	-------

შეკ. ლორთქიფანისა

ედიტა და ქურდი (თარგმანი)	„ № 3
„ „ (შემდეგი)	„ № 4
„ „ (დასასრული)	„ № 5

ანასტასია ამილახვარისა

მამა (ფრანგულით).	„ № 4
---------------------------	-------

ნინო შარაშიძე

პატარა გარრის ბალი მოთხრობა უიდასი (თარგმანი). „	№ 6
„ „ (შემდეგი).	„ № 7
„ „ (შემდეგი).	„ № 8
„ „ (დასასრული)	„ № 9

6. ყიფიანი

პატარა მამულიშვილი დე ამიჩიდან თარგმანი იტალიანურით იხ. № 7

ან. ქავთარაძე

თცთრი თავვი (თარგმანი) „ № 8

თ. კარბელაშვილი

ფავსტა (თარგმანი). „ № 9

ან. ახალშენიშვილი

ტოლერის მზე (თარგმანი) „ № 10

ელა შანშიაშვილი

დიდების მიძიებელი (თარგმანი) „ № 10

„ „ (თარგმანი) „ № 11

„ „ (შემდეგი) „ № 12

მოგზაურობა

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ „ № 1

„ „ (შემდეგი) „ № 2

„ „ (დასასრული) „ № 3

შალვა ტატიშვილი

ცხრა წყაროზედ. „ № 12

ზღაპრები

ნინო ნაკაშიძე

ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი (ხალხური). „ № 4

ა. მიქაბერიძე

ლომი (ვიქტორ ჰიუგოდან) „ № 5

დ. ნახუცრიშვილი

საოცარი არწივი (ჩინური თქმულება თარგმანი) „ № 5

კორდელი

ავი ობობა (კრესტოვსკიდან). „ № 5

ელ. ჭიჭინაძე

მწუხარების ტყე (სერბიული თარგმანი). „ № 6

ან-მანი

ცხრა ძმა და ერთი და (ხალხური). „ № 8



ი. გრიშაშვილი

სიზმარა (ხალხური)	იხ. № 9
„ (დასასრული)	„ № 10

ივან-არაკაძი

ალ მირიანაშვილი

მეურმე და მგზავრი	„ № 9
მეჭულე	„ № 12

სამეცნიერო წერილები

ა. მიქაბერიძე

მიოლოგია ტროადის ომი	„ № 1
„ „	„ № 2
„ „	„ № 4
„ „	„ № 9
„ „	„ № 11

დ. ახვლედიანი

ჰაერის დამორჩილება (თარგმანი)	„ № 1
„ „ (შემდეგი)	„ № 2
„ „ (დასასრული)	„ № 3
მცენარეთა ბუნებიდან ხე (გადმოკეთებული)	„ № 4
ცოტა რამ მარილზედ	„ № 5
ქვა-ნახშირი	„ № 7
ნავთი	„ № 8

ს. ორბელიძე

ქიაც მოსახმარია, თუ კაცი გონიერია (თარგმანი)	„ № 2
„ „ (დასასრული)	„ № 3

აპოლონ წულაძე

ფუტკარი და მისი ცხოვრება (შემდეგი)	„ № 3
„ „ „ (შემდეგი)	„ № 5
„ „ „ (შემდეგი)	„ № 6
„ „ (შემდეგი)	„ № 7
„ „ „ (დასასრული)	„ № 8

გ. ნ.

ელექტრონის ვილა	„ № 3
---------------------------	-------



ვასო ლამბაშიძე

უძრავი და ცდომილი ვარსკვლავები (პლანეტები) (თარგმანი)	„ № 5
„ „ (შემდეგი)	„ № 6
„ „ (დასასრული)	„ № 7

ს. ცომაია

ჟურნალ-გაზეთების ისტორიიდან	„ № 6
---------------------------------------	-------

ლ. ბოცვაძე

დელა-მიწის აღსარება	„ № 8
„ „ (შემდეგი)	„ № 9
„ „ (დასასრული)	„ № 10

ი. მოსეშვილი

სინათლე და მისი მნიშვნელობა	„ № 10
„ „ (შემდეგი)	„ № 11
„ „ (შემდეგი)	„ № 12

ს. პართენაშვილი

ქვის გაჩენა	„ № 11
-----------------------	--------

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება

ა. ხახანაშვილი

ალექსანდრე გარსევანის-ძე ჰაეკავაძე	„ № 6
ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ორბელიანისა	„ № 10

ა. მიქაბერიძე

ეკატერინე გაბაშვილისა	„ № 1
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა	„ № 3

დ. ა.

გედეონ ვასილის-ძე გედევანოვ-მირალიანი	„ № 5
---	-------

ა. ფალავა

იაკობ გოგებაშვილი	„ № 9
-----------------------------	-------

ნ მ კ რ ე ლ ო ბ ი

მარიამ ივანეს ასული დემურია	„ № 2
---------------------------------------	-------

კიტა აბაშიძე

მარიამ დემურიას სახსოვრად	„ № 2
-------------------------------------	-------



ვახტანგ ლამბაშიძე

სიტყვა მარიამ დემურიას დასაფლავებაზე წარ-

მოთქმული „ № 2

ა. ფალავა

მარკოზ ტვენი „ № 6

განდეგილი

ვასილი ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი „ № 8

გრ. ყიფშიძე

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა იხ. № 9

ნინო ნაკაშიძე

ილია ჭავჭავაძის ძეგლი „ № 9

ლევ ტოლსტოი „ № 11

მ. დემურია

მარჯორ უორდროპი „ № 1

ნარევი და გასართობი

დ. კარბელაშვილი

რებუსი და ახსნა. „ № 1

რებუსი „ № 2

ზმა, რებუსი და ახსნა. „ № 4

გეოგრაფიული ამოცანა და ახსნა „ № 5

გეოგრაფიული ამოცანა. „ № 7

რებუსი და ახსნა. „ № 7

გამოცანები. „ № 3

რებუსი „ № 3

გამოცანები. „ № 4

რებუსი და ახსნა. „ № 12

ვ. თამროშვილი

შარადა. „ № 5

შარადა და ახსნა. „ № 9

შარადა „ № 11

კოლა დარაშვილი

შარადა „ № 6



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი და ახსნა. „ № 6

შარადა. „ № 10

დარია აბელიშვილი

გამოცანა. „ № 7

აკროსტიხული ამოცანა. „ № 8

ნ. მოლოდინაშვილი

რებუსი და ახსნა. „ № 8

დ. ნახუცრიშვილი

ანდაზა. „ № 10

ანდრია ბაქრაძე

რებუსი და ახსნა. „ № 10

რებუსი და ახსნა. „ № 11

